ცნობილი შვეიცარიელი ეკონომისტი და ანგარიშმცოდნე იოჰან შერის სიტყვებით: — საბუღალტრო აღრიცხვა თითოეული საწარმოს წარსულის შეფუცდომელი მსაჯული, აწმყოს აუცილებელი ხელმძღვანელი და მომავლის საიმედო მრჩეველია [4 (V)].

ბუღალტრული აღრიცხვა იძლევა ზვირფას ფაქტობრივ მასალას სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შესადგენად, ხოლო როდესაც გაიშლება მუშაობა, — კონტროლს უწყვეს ამავე გეგმების შესრულებას.

სკკპ პროგრამაში ჩაწერილია: „საბჭოთა საზოგადოებას უდიდესი საერთო სახალხო ფონდები აქვს, ამიტომ იზრდება ეროვნული სიმდიდრის აღრიცხვის და მისი დაცვისა და გამოყენებისადმი კონტროლის როლი“ [5 (480)].

X XV ყრილობაზე სკკპ ცკ-ის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა: ... „ზუსტად ვიანგარიშოთ და ეფექტიანად გამოვიყენოთ თითოეული მანეთი, თითოეული სამუშაო საათი, თითოეული ტონა პროდუქცია, ბოლომდე აღმოვფხვრათ უყაირატობა და დოყლაპიობა“... [6 (61)].

ეს მოწოდება ბევრს ავალებს საწარმოთა ხელმძღვანელებს, ეკონომიკური სამსახურისა და კერძოდ ბუღალტრული აღრიცხვის მუშაკებს.

კაპიტალური მშენებლობის ბუღალტრული აღრიცხვა დარგობრივ ბუღალტრის ერთ-ერთი რთული და თავისებური სახეა, რაც შეპირბეჭდილია თვით დარგის სპეციფიკურობით.

კაპიტალური მშენებლობის თავისებურებათა გამო განსხვავებულია მასში გამოყენებული შრომის საშუალებებისა და შრომის საგნების შემადგენლობა. ხანგრძლივი საწარმოო პროცესის შედეგად მიიღება დამთავრებული ობიექტი, — მშენებლობის თავისებური მზა პროდუქცია, რომელსაც უძრობა ახასიათებს. წყიდველებს არ ეგზავნება და დამკვეთის მიერ ადგილზე მიიღება.

მშენებლობაში თავისებურია წარჩინების დანახარჯების დაჯგუფება, დამკვეთებთან ურთიერთობა და რეალიზაციის მონემტი. ასევე ფინანსური შედეგების გამოანგარიშებია მეთოდოლოგია. ყოველივე ეს გავლენას ახდენს მშენებლობის ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციაზე, მისთვის დამახასიათებელი საბალანსო ანგარიშების გამოყენებაზე და მათ კორესპონდენციაზე.

განსაკუთრებით გაიზარდა მშენებლობაში აღრიცხვისა და ანგარიშგების როლი სკკპ ცკ-ისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის დადგენილებების შემდეგ, რომლითაც დაიწყო მშენებლობაში დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემა, ხოლო სკკპ XXV ყრილობის დირექტივებში ახალი ამოცანები დაუასახეს კაპიტალური მშენებლობის ბუღალტრულ აღრიცხვას.

კარგად დაყენებულ აღრიცხვას ისეთივე ცხოველმყოფელი გავლენის მოხდენა შეუძლია სამშენებლო ორგანიზაციების ეკონომიკაზე, როგორც ახალი ტექნიკის დანერგვას — სამშენებლო წარმოების წინსვლა-განვითარებაზე. მაგრამ სამწუხაროდ კაპიტალურ მშენებლობაში ეკონომიკური მუშაობა ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა. მშენებლობის ბუღალტრულ აღრიცხვაში ყოველი სიასლე ნელა იწერება, პროგრესული ფორმები და მეთოდები, ასევე აღრიცხვის მექანიზაცია მცირე მასშტაბითაა დანერგილი. შრომის მეცნიერული ორგანიზაცია თითქმის არ არის გამოყენებული, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მშენებლობის ბუღალტრული აღრიცხვის ეფექტურობაზე და არ შეესაბამება მშენებლობაში მიღწეული განვითარების დონესა და წინსვლის ტემპებს.

ძირითადი საშუალებების ეფექტიანად გამოყენება და გადართობული კვლავწარმოება დიდადაა დამოკიდებული მათი აღრიცხვის წესიერად დაყენებაზე. ბუღალტრულ აღრიცხვას ევალება კონტროლის გაწევა ძირითადი საშუალებების ეფექტიანად გამოყენებაზე, ამორტიზაციის ფონდის სწორად დარიცხვისა და დანიშნულებით ხარჯვანზე, მიმდინარე და კაპიტალური რემონტის დროულად და ხარისხიანად ჩატარებაზე.

დაგეგმვის და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემა ხელს უწყობს ძირითადი ფონდების სტრუქტურის გაუმჯობესებას და გამოუყენებელი და ნაკლებეფექტიური ძირითადი საშუალებების დროულად შეცვლას. მიუხედავად ამისა მშენებლობაში ძირითადი ფონდების გამოყენებასა და ეფექტიანობის საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, რაც ნაწილობრივ აღრიცხვის ნაკლოვანებებსაც მიეწერება.

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა საქართველოს სამშენებლო ორგანიზაციებში ძირითადი წარმოებითი ფონდების დინამიკა უკანასკნელი წლების განმავლობაში და გამოირკვა, რომ ადგილი აქვს ფონდუკუებების კოეფიციენტის შემცირების ტენდენციას, რაც ასეთ სურათს იძლევა: (იხ. ცხრ. გვ. 74).

ფონდუსაგების მაჩვენებლები

სამშენებლო ორგანიზაციების მიხედვით

(შესრულებული სამუშაოები 1 მანეთ ძირითად წარმოებით ფონდებზე მანეთობით და კაპიტალ და შეღებვით)

მაჩვენებლები და წლები		მაჩვენებლები														
		1971		1972		1973		1974		1975		1976		1977		1978
1	სამშენებლო ორგანიზაციების დასახელება	შესრულებული სამუშაო 1 მანეთ ძირითად წარმოებით ფონდებზე		4-81	4-33	3-70	3-68	3-60	3-29	3-17	3-09					
		% %		100,0	90,0	76,9	76,5	74,8	68,4	64,9	64,2					
2	საქართველოს სსრ კონსტრუქციის სამინისტრო	შესრულებული სამუშაო 1 მანეთ ძირითად წარმოებით ფონდებზე		4-80	4-52	4-11	4-04	3-95	3-23	3-13	3-23					
		% %		100,0	94,2	85,6	84,2	82,3	67,8	65,2	67,5					
3	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეცსამშენებლო სამსახურის მთავარი სამმართველო	შესრულებული სამუშაო 1 მანეთ ძირითად წარმოებით ფონდებზე		5-79	5-22	5-21	4-61	4-50	5-04	4-95	4-98					
		% %		100,0	90,2	90,0	79,6	77,7	87,0	85,5	85,1					
4	ტრესტი "ინტენსი"	შესრულებული სამუშაო 1 მანეთ ძირითად წარმოებით ფონდებზე		8-52	4-26	3-18	2-90	2-90	4-23	4-00	5-29					
		% %		100,0	50,0	37,3	34,0	34,0	49,2	46,9	38,5					
5	ტრესტი "სექსპლანტონგრომენი"	შესრულებული სამუშაო 1 მანეთ ძირითად წარმოებით ფონდებზე		3-84	3-15	2-67	2-12	2-05	2-14	2-14	2-13					
		% %		100,0	82,0	69,5	55,2	53,5	55,7	55,7	55,7					
6	საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარეზერვუარ-სამშენებლო სამმართველო	შესრულებული სამუშაო 1 მანეთ ძირითად წარმოებით ფონდებზე		2-14	1-78	1-72	1-93	1-90	1-75	1-69	1-65					
		% %		100,0	83,1	80,3	93,1	88,8	81,8	79,0	77,1					

საქართველოს სსრ სამშენებლო ორგანიზაციებში ყოველწლიურად მატულობს ძირითადი წარმოებითი საშუალებების (ფონდების) საშუალოწლიური ღირებულება, რაც თანამედროვე ტექნიკური პროგრესის კანონზომიერებად უნდა ჩაითვალოს. ეს თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ სამშენებლო ორგანიზაციები სისტემატურად ღებულობენ უახლეს ტექნიკას, სამშენებლო მანქანებსა და მექანიზმებს, უმჯობესდება მათი ტექნიკური აღჭურვილობა, რაც საჭიროა ყოველდღიურად მზარდი მოცულობისა და რთული ტექნოლოგიური პროცესების სამუშაოთა შესასრულებლად. ამავე დროს მანქანებისა და მექანიზმების გამოყენება სამუშაოზე დაბალ დონეზეა. ამის გამო ერთ მანეთ ძირითად წარმოებით ფონდებზე სამუშაოთა შესრულების, ანუ ფონდუკუების მაჩვენებელი, ყოველწლიურად უარესდება. მაგალითად, საქართველოს მშენებლობის სამინისტროში ეს მაჩვენებელი 1978 წელს, 1971 წელთან შედარებით 35,8%-ით, სასოფლო მშენებლობის სამინისტროში შესაბამისად 32,7%-ით, მინისტრთა საბჭოს „სპეცმონტაჟშენის“ მთავარ სამმართველოში — 14,9%-ით, ტრესტ „ინჟენინი“ — 61,5%-ით და „საქპროდროენერგომშენში“ — 44,5%-ით შემცირდა. ცალკეულ ტრესტებში და პირველად სამშენებლო ორგანიზაციებში კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა.

სკკ ცკ-ის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წ. 28 მაისის დადგენილების საფუძველზე დაიწყო სამშენებლო ორგანიზაციების გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე, რამაც ნაწილობრივ გააუმჯობესა სამშენებლო ორგანიზაციების საწარმოო და სამეურნეო საქმიანობა, მაგრამ ერთ მანეთ ძირითად წარმოებით ფონდებზე სამუშაოთა შესრულების მოცულობა ამ შემთხვევაშიც კლებულობს.

როგორც ცნობილია, დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილი საწარმოები ბიუჯეტში იხდიან გადასახდელს ძირითადი წარმოებითი და ნორმირებული საბრუნავი ფონდების ღირებულებიდან, რამაც უნდა გააუმჯობესოს ძირითადი და საბრუნავი საშუალებების სტრუქტურა და გამოყენება, მაგრამ როგორც ჩანს სამეურნეო რეფორმის მექანიზმი ბოლომდე შესწავლილი არ არის და რესურსების გამოყენებაზე სასურველ გავლენას ვერ ახდენს.

სკკ ცკ-ისა და სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის დადგენილება „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ ახალ ამოცანებს სახავს ეკონომიკური მუშაობის გაუმჯობესების გზაზე და ცხადია სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაზედაც დადებით გავლენას მოახდენს.

ფონდუკუების ასეთი არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებელი გამოწვეულია ძირითადად ამ საშუალებათა შექმნის არასწორი დაგეგმვით, რაც არ ემყარება შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობის განგარიშებას, ძირითადი საშუალებების არასრული გამოყენებით და ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ხანგრძლივად ჩამოუწერლობით, რასაც მრავალი ფაქტობრივი მასალა ადასტურებს.

წლების მანძილზე საქართველოს სამშენებლო ორგანიზაციებში არ სრულდებოდა ძირითადი საშუალებების კაპიტალური შეკეთების გეგმები და აუთვისებელი რჩებოდა კაპიტალური შეკეთებისათვის განკუთვნილი ამორტიზაციის თანხები, რაც იწვევდა მანქანა-მექანიზმების შეუკეთებლობას, მოცდენებს და ფონდუკუების დაბალ მაჩვენებლებს. ხშირად ბანკში არ შექონდათ ძირითა-



დი საშუალებების სრული აღდგენისათვის განკუთვნილი ამორტიზაციის ფონდის დიდი ნაწილი, რაც აფერხებდა საკუთარი კაპიტალდამანდების შესრულებას; ბანკში ზოგჯერ გახსნილი არ ჰქონდათ განსაკუთრებული ანგარიშები კაპიტალური შეკეთებისათვის, რაც ასუსტებდა კონტროლს ამორტიზაციის თანხების დანიშნულებით გამოყენებაზე.

1970—1978 წლებში ჩვენს მიერ შესწავლილ სამშენებლო ორგანიზაციებში ჩამოწრილია 2150 ათასი მანეთის არასრულად ამორტიზებული ძირითადი საშუალებები, საიდანაც მიღებულია ზარალი 765 ათასი მან. მათ შორის საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროში — 515 ათასი მან., რაც მათი უხარისხო შეკეთებითა და არადამაკმაყოფილებელი მოვლა-პატრონობით აიხსნება.


არცთუ იშვიათად სამშენებლო ორგანიზაციებში ძირითად საშუალებებს იძენენ საბრუნავი სასრებიდან, რის გამოც მათ მცირეფასიანი სწრაფცვეთადი საგნების შემადგენლობაში აღრიცხავენ. ბანკის დაწესებულებები საქირო კონტროლს არ ახორციელებენ ძირითადი საშუალებების შეძენის წესების დაცვაზე.

საქართველოს სამშენებლო ორგანიზაციათა ოთხ მეხუთედზე მეტში მოუწესრიგებელია ძირითადი საშუალებების საგნობრივი აღრიცხვა. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ რეკომენდებული სპეციალური ფორმის ბარათები გახსნილი არ არის. წლების განმავლობაში არ ტარდება მათი ინვენტარიზაცია. ზოგჯერ კიდევ არასწორად ხდება ამორტიზაციისა და ცვეთის დარიცხვა.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვის სწორად დაყენებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დამთავრებული ობიექტების სწორად შეფასებას. ამ მხრივ კაპიტალური მშენებლობის აღრიცხვაში ადგილი აქვს არსებით ნაკლოვანებას. მხედველობაში გვაქვს სამეურნეო წესით აგებული შენობა-ნაგებობანი, რომელთა საინვენტარო ღირებულება განისაზღვრება ფაქტიური დანახარჯების თანხებით, სადაც შედის მენაშენის ცუდი მუშაობით გამოწვეული გადახარჯვები და არამწარმოებლური ხარჯები.

არსებული წესის მიხედვით ორი, სრულიად ერთნაირი ობიექტის საბალანსო ღირებულება შეიძლება სხვადასხვა იყოს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი მათგანი აშენდა საიჯარო წესით, ხოლო მეორე — სამეურნეო წესით, რასაც ძირითად საშუალებათა შეფასებაში შეაქვს სიჭრელე, ხოლო აღრიცხვა-ანგარიშგებაში არეგ-დარეგვა. დაუშვებელია, რომ მოიჯარის გადახარჯვები და არამწარმოებლური ხარჯები აისახოს მისი ფინანსური შედეგის ანგარიშზე, ხოლო სამეურნეო წესით მშენებლობისას მენაშენის მიერ დაშვებული გადახარჯვები, არამწარმოებლური ხარჯები და ზარალი შევიდეს აგებული ობიექტის საინვენტარო ღირებულებაში. საქმე ის არის, რომ დღეისათვის მოქმედებაშია 1955 წელს დამტკიცებული დებულება შესრულებულ სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოთა აღრიცხვის და თვითღირებულების კალკულირების შესახებ, რაც ძალზე მოძველებულია.

ჩვენი შეხედულებით დამთავრებული სამშენებლო ობიექტის შეფასება უნდა ხდებოდეს სახარჯთანუსხო ღირებულებით, მიუხედავად იმისა, თუ რომელი წესით მიმდინარეობდა მშენებლობა. პროექტები და ხარჯთანუსხები კი უნდა დგებოდეს მეცნიერული დასაბუთებით და ობიექტალური გადაწყვეტილებით. ამას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სკკპ XXV ყრილობამ. დადგინო-



ლებებში ნათქვამია — „გავაუმჯობესოთ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმე, ავამაღლოთ საპროექტო-საკონსტრუქტორო და სამეცნიერო ორგანიზაციების პასუხისმგებლობა საპროექტო გადაწყვეტილებათა მაღალი ტექნიკური და ეკონომიკური დონისათვის. დროულად უზრუნველევით მშენებლობები და ობიექტები საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტებით“. 6 (285).

ავტოსტრანსპორტის ხარჯები მშენებლობის პირდაპირი დანახარჯების 8—10% შეადგენს და მისი შემცირება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დანახარჯების დონეზე. ავტოსტრანსპორტის მუშაობის ძირითადი დოკუმენტია საგზური ფურცელი, მის შევსებასა და აღრიცხვაში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს, რაც ქმნის მიწერებისა და სხვა ბოროტმოქმედების ჩაღვნიის შესაძლებლობას. საგზური ფურცლისა და საღისპეტჩერო ყურნალის ზედმიწევნით სწორად, ფრთხილად და კეთილსინდისიერად შევსებისა და აღრიცხვის საჭიროება ნაკარნახევია იურიდიული თვალსაზრისითაც, რადგან ძალზე ხშირია საგზო და ავტომანქანების არადანიშნულებით გამოყენების, აგრეთვე მსუბუქი მანქანების სარეალიზაციოდ არასწორად გამოყოფის შემთხვევები.

საჭიროა საგზური ფურცლების ბლანკები აღრიცხოს მკაცრი აღრიცხვის ბლანკების ბალანსვარეშე ანგარიშზე, საღისპეტჩერო ყურნალი და მანქანების ნამუშევრის აღრიცხვის სხვა ყურნალები უნდა იყოს ზონარგაყრილი და დანომრილი. სასტიკად უნდა აიკრძალოს ყოველგვარი წაშლა-გადასწორება, როგორც ამას მოითხოვს დებულება საბუთებისა და ჩანაწერების შესახებ. [7 (642)]. ყოველთვის უნდა დგებოდეს მანქანების მუშაობის კალკულაცია, გაანალიზდეს შედეგები და რეაგირება გაუკეთდეს ყოველგვარ დარღვევას. ასეთი აღრიცხვა მათ უფრო აუცილებელია, რომ მანქანების მუშაობის აღრიცხვის მაჩვენებლების საფუძველზე ხდება მძღოლთა ხელფასის დარიცხვა, საწვავ-საზეთავი მასალებისა და საბურავების ჩამოწერა, ამორტიზაციისა და ცვეთის დარიცხვა.

შრომის საგნები სამშენებლო წარმოების აუცილებელი ელემენტია. მათი უმეტესობა ნივთიერად შედის სამშენებლო პროდუქციაში, სხვები დამხმარე მასალის როლს ასრულებენ. ზოგიც ძირითადი საშუალებების შესაკეთებლად და მოძრაობაში მოსაყვანად ან სამეურნეო სპორტობისათვის გამოიყენება.

მასალების განსხვავებული როლის გამო მათ აღარცხავად გათვალისწინებულია №№ 06 (სათბობი), 07 (სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა) და 08 (სათადარიგო ნაწილები) საბალანსო ანგარიშები. მაგრამ გამომცემლობა „სტატისტიკამ“ (M). 1974 წელს გამოსცა „Справочное пособие по бухгалт. учету в строительстве“, ასევე სსრკ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტრომ 1968 წელს გამოსცა ანგარიშთა გეგმა, რომლის მიხედვით ყოველგვარი მასალა № 07 ანგარიშზე უნდა აღრიცხოს, ხოლო № 06 და 08 ანგარიშში უგულებელყოფილია, რაც სწორად არ მიგვაჩნია. ჩვენი მოსაზრება იქიდან გამომდინარეობს, რომ სამშენებლო ორგანიზაციებს აქვთ სათბობისა და სათადარიგო ნაწილების დიდი ამორტიმენტი და მათი სამშენებლო მასალებთან ერთად 07 ანგარიშზე აღრიცხვა იწვევს ამ ანგარიშის ძალზე გადატვირთვას და საანალიზოდაც მოუხერხებელია.

შრომის საგნები ნორმირებულ საბრუნავ საშუალებათა უმეტეს ნაწილს მოიცავს. მათი ფორმირება ძირითადად დაწესებული ნორმატივების მიხედვით ხდება. ამიტომ ნორმატივების სწორად დაწესებას დიდი მნიშვნელობა აქვს. საქართველოს სამშენებლო ორგანიზაციებში ნორმატივების განსაზღვრის წესებს არ იცავენ, რაც ზენორმატიული ნაშთების ხელოვნურად წარმოშობას იწვევს.



მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთების წარმოქმნასა და რეაღწევაზე ერთვე მათი შექმნა ნორმატივებისა და რეალური მოთხოვნის გათვალისწინებით უნდა; ამის მიზეზია სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა სუბიექტური მოქმედება და მატერიალური აღრიცხვის მოუწყესრიგებლობა; ხშირად გაურკვეველია მასალების ფაქტიური ნაშთები, რაც საფუძველად უნდა დაედოს მათ შემოზიდვას.


მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის დაბალი დონე და ხშირად ქოტური მდგომარეობა ხელსაყრელ პირობებს ქმნის მითვისებისა და გაფლანგვა-დატაცებისათვის. ბუღალტრულმა აღრიცხვამ უნდა უზრუნველყოს სოციალისტური საკუთრების დაცვა გაფლანგვა-დატაცებისა და გაფუჭებისაგან. ამ მიზნით სათანადო დებულების შესაბამისად სისტემატურად უნდა ტარდებოდეს მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია. სამწუხაროდ გახშირდა ინვენტარიზაციის ფორმალურად ჩატარება და დანაკლისების მიჩქაღვია. ასეთვე მდგომარეობაა ზოგჯერ რევიზიების ჩატარებისას. აქტების მიხედვით „ყველაფერი რიგზეა“, შემდეგ კი ვლინდება დიდი თანხის გაფლანგვა, რაც ცხადია მიჩქაღვლილი იყო ინვენტარიზაციის ან რევიზიის დროს.

მშენებლობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მატერიალურ ფასეულობათა პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაციას, სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის გონივრულ ორგანიზაციასა და მატერიალურ აღრიცხვაში მექანიზაციის საშუალებათა გამოყენებას. აქ მატერიალური დანახარჯები დანახარჯთა მთლიანი ჯამის 60—70%-ს შეადგენს. ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მასალების მოჭირნეობით ხარჯვას, რაც დიდად არის დამოკიდებული ამ უბანზე აღრიცხვისა და კონტროლის სწორ ორგანიზაციაზე.

1974 წელს დამტკიცებულმა მასალების აღრიცხვის ძირითადმა დებულებამ დოკუმენტაციის საკითხში ბევრი რამ მოაწესრიგა; ასევე წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროში ამ ბოლო დროს შემოღებულ ობიექტებზე მასალების შეზღუდვის საკვირაო-საღმადღამოსო გრაფიკი, რაც ლიმიტური ბარათის საბუნებრივად წარმოადგენს, ხასიათდება ოპერატიულობით და ხელს უწყობს აღრიცხვაში მოწინავე მეთოდების დანერგვას. მაგრამ ყოველივე ეს ჭარბობით მხოლოდ ქაღალდზეა. ფაქტიურად მასალების პირველად აღრიცხვაში ადგილი აქვს უწყესრიგობას, დოკუმენტაციის გამოყენების საკითხებში კი — თვითნებობას.

საქართველოს მშენებლობის სამინისტროში ლიმიტურ ბარათებს მასალების გაცემაზე ორგანიზაციების 10% თუ ადგენს. ტიპურ და უნიფიცირებულ ფორმებს კი მხოლოდ 2—3% იყენებს; ასეთ პირობებში მასალების აღრიცხვის მექანიზაციაზე ლაპარაკი კი ზედმეტია.

მასალების აღრიცხვის მოწყობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ერთიანი საგეგმო-საანგარიშსწორებო ფასებისა და კოდირებული ნომენკლატურა-საფასარის შემოღებას, რომლის დამუშავებაც საქართველოს მშენებლობის სამინისტროში 1975 წელს დაიწყო, მაგრამ დღემდე დამთავრებული არ არის. ნომენკლატურა-საფასარი არც სხვა სამშენებლო ორგანიზაციებშია გამოყენებული. ამის გამო მასალების აღრიცხვაში კურონოზული მდგომარეობაა. ხშირია ჩვეულებრივი რაოდენობრივი და წითელი თანხობრივი ნაშთები ან ზელოვნურად გაზრდილი თანხები, რაც უპარყოფით გავლენას ახდენს შესრულებულ სამუშაოთა თვითღირებულებაზე. ამ პირობებში მასალებისა და წარმოების დანახარჯების აღრიცხვაში რაიმე პროგრესული ფორმებისა და მეთოდების გამოყენება შეუძლებელია.



ჩვენ მიგვაჩნია, რომ მასალების სატრანსპორტო-დამზადების ხარჯები აღრიცხვის № 11 სასაწყობო-დამზადების ხარჯების საბალანსო ანგარიშზე და თვის ბოლოს სათანადო გაანგარიშებით შევიდეს შესრულებულ სამუშაოთა ფინანსური დონორებში ცალკე საკალკულაციო მუხლით და არა მასალების მუხლით, რასაც ამჟამად აქვს ადგილი.

სარკ ფინანსთა სამინისტროს მიერ რეკომენდებულია მასალების სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის მოწყობა ოპერატიულ-ბუღალტრული (ნაშთობრივი) მეთოდის გამოყენებით, რაც გულისხმობს სინთეზურ აღრიცხვას ბუღალტერიაში თანხობრივი გამოსახულებით, ცალკე საგეგმო-საანგარიშსწორებო ფასებით, ცალკე — მათგან გადახრებით, ხოლო ანალიზური აღრიცხვის განხორციელებას საწყობებში რაოდენობრივად, სასაწყობო აღრიცხვის ბარათებში. მშენებლობაში ამ მეთოდის გამოყენებას გარკვეული სპეციფიურობა ახასიათებს, რაც იმითაა გამოწვეული, რომ მასალების მომარაგება და კომპლექტაცია ცენტრალიზებულია ტრესტებში, ამასთან დაკავშირებით სამმართველოებში ცენტრალური საწყობები უქმდება და ტექნოლოგიური კომპლექტაციის პირობებში საობიექტო საწყობებიც უნდა გაუქმდეს. მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე რჩებიან უფროსი და რიგითი სამუშაოთა მწარმოებლები. ამ დროს მატერიალური აღრიცხვა და კერძოდ მასალების აღრიცხვის ოპერატიულ-ბუღალტრული მეთოდი მშენებლობაში თავისებურ ხასიათს იძენს.

სამუშაოთა მწარმოებლები დახარჯული მასალების ჩამოსაწერად ადგენენ ტექნიკურ ანგარიშს შესრულებულ სამუშაოთა სახეებისა და მასალების ხარჯვის ნორმების შესაბამისად. თვის ბოლოს კი უნდა შეადგინონ მასალების მოძრაობის უწყისი ნომენკლატურა-საფასარით დადგენილი ჯგუფების მიხედვით. უწყისი შეიცავს მასალების მოძრაობის რაოდენობრივ და თანხობრივ მაჩვენებლებს, ამასთან პირველს ავსებს მატერიალურად პასუხისმგებელი პირი, მეორეს — ბუღალტერია. ტაქსირება უმჯობესია მოხდეს გამომთვლელი მანქანებით. უწყისში ასახულია მასალების ნაშთები თვის დასაწყისში, შემოსავალი — წყაროების მიხედვით, გასავალი — ობიექტებისა და მიმართულებათა მიხედვით და ნაშთი თვის ბოლოს. უწყისი უნდა შედგეს ორ ეგზემპლარად. თუ შეცდომაა დაშვებული, გაასწორებს ბუღალტერია. მატერიალურად პასუხისმგებელ პირს დარჩება უწყისის ერთი ცალი. მასალების ხარჯვის ლიმიტები გადააქვთ უწყისში და კონტროლს უწევენ ფაქტიური ხარჯვის შესაბამისობას.

რადგან სამშენებლო სამმართველოებში მრავალი მატერიალურად პასუხისმგებელი პირია, უწყისების ჯამობრივი მონაცემები გადააქვთ „ფულადი გამოსახულებით მასალების მოძრაობის ნაერთ უწყისში“ ფ. № 10 — მშ., რომლის ჯამებს უდარებენ სინთეზური აღრიცხვის მონაცემებს. თუ ადგილი ექნა სხვაობას, შეცდომის მონახვა ძნელი არ არის. მატერიალურად პასუხისმგებელი პირები მასალების ანალიზურ აღრიცხვას ახორციელებენ სასაწყობო აღრიცხვის ბარათებში, ჩანაწერთა სისწორეს კი პერიოდულად ამოწმებენ ბუღალტერის მუშაკები და ხელსაც აწერენ.

საქართველოს სამშენებლო ორგანიზაციების ერთი ნაწილი მასალების აღრიცხვას აწარმოებს უბარათო სისტემით, მაგრამ ეს სულაც არ არის მასალების აღრიცხვის ოპერატიულ-ბუღალტრული (ნაშთობრივი) მეთოდი. სამშენებლო ორგანიზაციებში ამ მეთოდის დანერგვა უნდა მოხდეს ყველა სავალდებულო წესის დაცვით.

მიმწოდებლებთან ანგარიშსწორების № 60 საბალანსო ანგარიშში პასიურია, მაგრამ მშენებლობაში ის აქტიურ-პასიურ საანგარიშსწორებულად არის გადაქცეული, რადგან არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობის გამო მიმწოდებლებმა სამშენებლო ორგანიზაციებს მასალებს წინასწარ თანხია გადარიცხვის ვარუშე არ აძლევენ. ანგარიშსწორების სააქციუტო-საინვანსო ფორმა ზოგჯერ არის გამოყენებული; მიმწოდებლებს წინასწარ ურიცხავენ დიდ თანხებს და მასალები უმეტესად დაგვიანებით გამოაქვთ. იქმნება დებიტორულ დავალიანება, მახინჯდება თვით საბალანსო ანგარიში.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს და ახვა სამშენებლო ორგანიზაციების ბალანსებით მიმწოდებლებზე წინასწარ გადარიცხული თანხებია მილიონობით მანეთის დებიტორული დავალიანება ირიცხება, რაც უპარყოფითად მოქმედებს მათ საფინანსო მდგომარეობაზე. ამასთან რთულდება № 6—მშ. ყურნალ-ორდერის გამოყენება. ასეთ პირობებში მიმწოდებლებისადმი წინასწარ თანხის გადარიცხვისას გათვალისწინებული უნდა იქნას, თუ რა ღირებულების მასალებს გამოიტანენ თვით ბოლომდე. ამასთან საჭიროა შეიცვალოს № 6—მშ. ყურნალ-ორდერის სტრუქტურა ისე, რომ ის მოხერხებული იყოს გამოსაყენებლად [8 (11)].


მშენებლობაში რიტმული მუშაობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი ხარისხისა და ასორტიმენტის სამშენებლო მასალებით დროულად მონარაგებას, რაც დაკავშირებულია მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სწორ ორგანიზაციასთან და მიმწოდებელთა მხრივ ვალდებულებათა შესრულებასთან. მეორე მხრივ კი — საპრეტენზიო მუშაობასთან, რადგან ეს ვალდებულებანი ხშირად არ სრულდება.

სამეურნეო რეფორმის პირობებში სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვისა ჯარიმები და პირგასამტეხლო თანხები აქამდე წინანდულთან შედარებით უფრო მეტი ოდენობით არის გათვალისწინებული, რაც უზრუნველყოფა მხარეთა პასუხისმგებლობის ამაღლებას. მაგრამ ამ ღონისძიებამ რომ თავის მიზანს წილწიოს, საჭიროა გაძლიერდეს საპრეტენზიო მუშაობა. ამ მიზნით ერთიან ანგარიშთა გეგმაში შეტანილია პრეტენზიებით ანგარიშსწორების № 63 საბალანსო ანგარიში. მაგრამ გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ეს ანგარიში სამშენებლო ორგანიზაციების ბალანსში ასახვას არ ბოულობს, სხვა დებიტორებთან მისი შეერთება კი მიზანშეწონილი არ არის. ჩვენი აზრით ბალანსის ფორმაში შეტანილი უნდა იქნეს ეს ანგარიში, ხოლო ანგარიშების მოცულობაში გათვალისწინებული უნდა იქნეს სპეციალური ფორმა საპრეტენზიო თანხების მოარაობაზე; ეს ვაჲუმჯობესებს საპრეტენზიო მუშაობას და ამაღლებს სახელშეკრულებო დისციპლინას.

სკკ XXV ყრილობაზე გამახვილებული იყო ყურადღება სამშენებლო ობიექტების უზრუნველყოფაზე საპროექტო-სახარჯთანუსხო დოკუმენტაციითა და დაფინანსებით, რომელთა გარეშე, როგორც წესი, მშენებლობა არ უნდა იქნეს დაწყებული [6 (284—285)]. მაგრამ ეს წესი ხშირად ირღვევა. პროექტები და ხარჯთანუსხები დიდი დაგვიანებით და ხშირად უხარისხოდ დგება, ხოლო დაფინანსების წყაროებით მშენებლობა ხშირად უზრუნველყოფილი არ არის.

ანგარიშსწორება დანთავრებული ობიექტისა ან მისი ეტაპისათვის დაფინანსების პროგრესული ვარიანტია, ის ნაგარაუდებია მოიჯარეთა დასაინტერესებლად და სამუშაოთა დაააჲქარებლად. მაგრამ მისი მექანიზმი მთლიანად შესწავლილი არ არის, აკლია ქმედითობა, რის გამოც თავის მიზანს ვერ აღწევს;

ამას ადასტურებს დაუმთავრებელი წარმოების ნაშთების ზრდა უკანასკნელი წლების განმავლობაში. ამასთან დაფინანსების ასეთი წესი ხშირად მსხვილი მიწერებისა და გადახარჯების მიზეზი ხდება.



ამ დროს მოიჯარე ორგანიზაციები ავანსის ნაცვლად სათანადო გაანგარიშებით იღებენ საბრუნავი საშუალებების შესავსებლად თანხებს; გაანგარიშება იმდენად მეცნიერულად უნდა იყოს შედგენილი, რომ დაწყებული ობიექტების დასამთავრებლად მოიჯარე ორგანიზაციის დიანტერესება გამოიწვიოს, თუ მოიჯარეს ზედმეტი თანხები მისცეს, ეს არ გამოიწვევს მოიჯარე ორგანიზაციის სტიმულს და ობიექტების მშენებლობის დაჩქარებას, ხოლო ნაკლები თანხების მიცემა მოიჯარის ფინანსურ დაძაბულობას იწვევს და დაწყებული ობიექტების დამთავრებაზე უარყოფითად მოქმედებს. აქედან ის დასკვნა გამოიმდინარეობს, რომ საბრუნავი საშუალებები მოიჯარეს ოპტიმალური გაანგარიშებით უნდა მიეცეს.

სკკ ცვ-ისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის დადგენილება ითვალისწინებს მოიჯარისა და დამკვეთის ანგარიშსწორებას მთლიანად დამთავრებული ობიექტებისათვის, რაც თავის მხრივ საანგარიშსწორებო გაანგარიშებათა ზუსტი მექანიზმის შექმნას მოითხოვს. ასეთი წესით ანგარიშსწორების დანერგვა 1981 წლისათვის უნდა დამთავრებულიყო [9 (41)].

სრულყოფას მოითხოვს მუშა-მოსამსახურებებთან ანგარიშსწორების აღრიცხვა და შრომის ანაზღაურების ფორმები და სისტემები. საჭიროა მშენებლობაში სრულყოფილად იქნეს გამოყენებული აკარდულ-პრემიული სისტემა; ამასთან შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სამეურნეო ანგარიშის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ზღობინის მეთოდის — ბრიგადული იჯარის დანერგვა-გამოყენებას [10 (39)].

ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია შიგნაშემნებლო სამეურნეო ანგარიშისა და ბრიგადული იჯარის პირობებში აღწერილია ლენინგრადელი მეცნიერის ა. ს. ნარინსკისა და პრაქტიკოს ა. ი. სოინის ბროშურაში [11 (3, 18)].

წუნით გამოწვეული დანაკარგების აღსარიცხავად მრეწველობაში გამოიყენება საბალანსო ანგარიში № 28 „წუნი წარმოებაში“. წუნის ლიკვიდაციის შესაძლებლობანი იზრდება სამეურნეო რეფორმის პირობებში. მშენებლობაში ამ ამოცანის გადაჭრის წინამძღვარს ჰქმნის სკკ ცვ-ის და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის დადგენილება მშენებლობაში ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი [6 (285)]. მაგრამ დადგენილება, რაც არ უნდა კარგი იყოს ის, ავტომატურად ვერ აღმოფხვრის წუნს. სამუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობაში დღემდე არ გამოიყენება № 28 საბალანსო ანგარიში და არ წარმოებს წუნისა და უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოთა დანაკარგების ბუღალტრული აღრიცხვა. მშენებლობაში შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი კვლავ დაბალია და უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოთა გადაკეთებაზე დიდძალი თანხები იხარჯება. ჩვენი აზრით არაფრით არ არის გამართლებული მშენებლობაში წუნისა და მისი დანაკარგების ბუღალტრული აღრიცხვის უქონლობა. ამ საკითხზე ბევრი ითქვა და დაიწერა პროფ. ა. ნარინსკის და სხვათა მიერ, მაგრამ ნაკლოვანება მიინც არ სწორდება [12 (91), 13 (34), 14 (186), 15 (66)].

შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების ანგარიშება ფ. № 2—მშ. მოითხოვს, დანაკარგები წუნისა და უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოთა გადაკეთებით ჩაიწეროს ერთი ციფრით, მაგრამ არსად არ არის მითითებული საიდან ჩაწეროს აღრიცხვის მუშაკმა ეს ერთი ციფრი.

მშენებლობაში წუნე და უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოთა გადაკეთებაზე პირველადი დოკუმენტიც კი არ დგება, რომ ბუღალტერმა სისტემის გარეშე აღრიცხვა მიიწიწა აწარმოოს.

ჩვენი აზრით სამუშაოთა უხარისხოდ შესრულებას, რამაც მშენებლობაში გაცილებით უფრო მეტად იჩინა თავი, ხელა შეუწყო წუნის ბუღალტრული აღრიცხვის უქონლობამაც, რადგან ეს დანაკარგები აღრიცხვის გარეშე დატოვებული.

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ წუნის აღრიცხვის გაუმჯობესებით აღმოიფხვრება მშენებლობაზე სამუშაოთა უხარისხოდ შესრულება. მაგრამ თუ წუნისა და უხარისხობის თითოეული შემთხვევა ბუღალტრული საბუთით გაფორმდება და სათანადო მუხლით გატარდება, წუნისმკეთებლებს გარკვეული თანხა დეკავებათ, დამნაშავე მიმწოდებლებს და საპროექტო ინსტიტუტებს პრეტენზიას წარუდგენენ, ეს იქნება ბრძოლა წუნისა და უხარისხობის წინააღმდეგ და ამით წუნის შემთხვევები თანდათანობით შემცირდება.

ამიტომ საჭიროა, რომ დამტკიცდეს სათანადო დებულება, დოკუმენტაციის ფორმები და შემოდებულ იქნეს მშენებლობის ბუღალტრულ აღრიცხვაში წუნისა და უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოთა სისტემური ბუღალტრული აღრიცხვა.

ზოგჯერ ობიექტების ექსპლუატაციაში ჩაბარების შემდეგ გარკვეული ვადის განმავლობაში საჭირო ხდება გამოვლინებული დეფექტების გასწორება. ამ დანახარჯების შეტანა შესრულებულ სამუშაოთა თვითღირებულებაში შეუძლებელია, რადგან ამ დროს ყველა დანახარჯი ჩამოწერილია. ამიტომ ასეთი ხარჯების დასაფარავად მიზანშეწონილია შეიქმნას სავარაუდო რეზერვი № 89 „მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვის“ ანგარიშის შემადგენლობაში, რასაც პროფესორი ა. ნარინსკი სწორად მიუთითებს და ჩვენც მას ვეთანხმებით. [13 (43)].

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულებაში ზედნადებ ხარჯებს მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვს. აქ შედის სამშენებლო წარმოების მმართველობის, მომსახურების და ორგანიზაციის ხარჯები.

ზედნადები ხარჯების შემადგენლობაში აღრიცხება ზოგიერთი ისეთი ხარჯი, რომელთა შეტანა დაუბრკოლებლავ შეიძლებოდა პირდაპირ დანახარჯებში. ასეთია: მუშების დამატებითი ხელფასი, სოციალდევების ანაზღაურებები მუშების ხელფასიდან, სამშენებლო ტერიტორიის კეთილმოწყობისა და ობიექტების ჩასაბარებლად მომზადების ხარჯები და სხვ. სამრეწველო საწარმოებში მსგავსი ხარჯები პირდაპირ ხარჯებში შედის. რისთვის გავხადოთ გასანაწილებლად თავიდანვე გარკვეულ ობიექტებზე პირდაპირი გზით მისაკუთვნილებელი ხარჯები?

ამ ხარჯების ზედნადები ხარჯებიდან გამორიცხვა და პირდაპირ დანახარჯებში შეტანა ამცამად შეუძლებელია, რადგან ზედნადები ხარჯების ნორმები და ხარჯთესხები შედგენილი და დამტკიცებულია. წარმოების დანახარჯების აღრიცხვის და კალკულირების ახალი დებულების შედგენისას მიღებული უნდა იქნეს მხედველობაში ეს გარემოება, რაც გააუმჯობესებს ზედნადები ხარჯების აღრიცხვას.

ზედნადები ხარჯების აღრიცხვამ და გინაწილებამ ხელი უნდა შეუწყოს მშენებლობაში სამეურნეო ანგარიშის გამტკიცებას, სამშენებლო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. ამ ვაგებით მიზანშეწონილია ზედნადები ხარჯები



ორ ნაწილად გაიყოს, — საერთო-საუბნო (საობიექტო) და საერთო-სამშენებლო ზედნადებ ხარჯებად. პირველი ჯგუფის ზედნადები ხარჯების ოდენობა დამოკიდებულია სამშენებლო ობიექტების საქმიანობაზე და დაკავშირებულია სამშენებლო წარმოების მომსახურებასა და ორგანიზაციასთან. მის გადახარჯვაზე პასუხი უნდა აგონ სამუშაოთა მწარმოებლებმა. ხოლო მეორე ჯგუფის ზედნადები ხარჯები წარმოიშვება მმართველობის სფეროში და კავშირი არა აქვს სამუშაოთა მწარმოებლების საქმიანობასთან.

ცნობილია ზედნადები ხარჯების განაწილების სხვადასხვა ვარიანტი, რომელთა მიხედვით ზოგიერთი მუხლი ნაწილდება მუშების ხელფასის პროპორციულად, ზოგი კი — ობიექტების პირდაპირი ხარჯების მიხედვით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უმჯობესია ზედნადები ხარჯების მთლიანი თანხა განაწილდეს პირდაპირი ხარჯების პროპორციულად, რადგან მუშების ხელფასის წილი დანახარჯების საერთო თანხაში სამუშაოთა მექანიზაციის შედეგად თანდათან მცირდება და მისი სიდიდე ზედნადები ხარჯების განაწილების საზომად არ გამოდგება. განაწილების ასეთი წესი მით უფრო მართებულია, რომ ზედნადები ხარჯები იგეგმება პროცენტულად პირდაპირი ხარჯების მიმართ.

წარმოების დანახარჯების აღრიცხვა და კალკულაცია ბუღალტრული აღრიცხვის ცენტრალური საკითხია, რასაც ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ რკპ(ბ) XII ყრილობამ 1923 წელს. მის მიერ მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია: „თუ არ არის სწორი ანგარიშწარმოება, რომელიც მოიცავს სახელმწიფო მეურნეობას თავიდან ბოლომდე, თუ არ არის მეცნიერულად დაყენებული კალკულაცია, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო მრეწველობის პროდუქტთა რეალურ თვითღირებულებას, ისე არავითარი გარანტია არ არსებობს ნაციონალიზებული საკუთრების თანდათანობით გაფანტვისა და დატაცების წინააღმდეგ, ამასთან ტრესტები შეიძლება ამ შემთხვევაში გადაქცეულიყვნენ სახელმწიფო ქონების კერძო ხელში გადაქაჩვის არხებად“ [16 (899)].

წარმოების დანახარჯთა გონივრულად აგებულ აღრიცხვას შეუძლია ნათლად წარმოგვიდგინოს, რისი გაკეთება შეძლო სამშენებლო ორგანიზაციამ თვითღირებულების შესამცირებლად და რა რეზერვები გააჩნია მას. ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულად დასაბუთებულ და პრაქტიკით გამართლებულ წარმოების დანახარჯთა კლასიფიკაციას და კალკულირების პროგრესული მეთოდების გამოყენებას.

მშენებლობაში წარმოებრივი დანახარჯების აღრიცხვისა და კალკულირების 1955 წელს დამტკიცებული დებულებები მოქველდებულია და დღევანდელ მოთხოვნას არ პასუხობს. კერძოდ საკალკულაციო მუხლები არასრული და საანალიზოდ მოუხერხებელია. ხუთი მუხლი, რომლითაც შეზღუდულია წარმოების დანახარჯების დაჯგუფება მშენებლობაში, არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად მივიჩნიოთ. ეს მუხლებია: მასალები, კონსტრუქციები და დეტალები; მუშების ძირითადი ხელფასი; სამშენებლო მანქანების და მექანიზმების ექსპლუატაციის ხარჯები; დანარჩენი პირდაპირი ხარჯები და ზედნადები ხარჯები. თვით ხარჯთა დაყოფა პირდაპირ და ზედნადებ ხარჯებად არაზუსტია. ხარჯების კლასიფიკაცია უნდა ხდებოდეს: ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით, — ძირითად და ზედნადებ ხარჯებად; საკალკულაციო მუხლების მიხედვით, — პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებად. ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ მშენებლობაში არ არის დანახარჯთა დაჯგუფება ეკონომიკური ელემენტების მიხედვით. ზოგიერთი ხარჯი ამოღებული უნდა იქნეს ზედნადები ხარჯებიდან და შევიდეს პირდაპირ ხარჯებში, რაზედაც უკვე იყო აღნიშნული. გარდა ამისა პირდაპირი ხარ-

ჯების საკალუღაციო მუხლებს უნდა დაემატოს: მასალების სატრანსპორტო და სასაწყობო დამზადების ხარჯები; სათბობი და ენერჯია ტექნოლოგიური საქმე-როებისათვის; მუშების დამატებითი ხელფასი და სოციალურების ანარიცხები; დანაკარგები წუნიდან და უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოთა გადაკეთებით. ხარჯთა ასეთი კლასიფიკაცია შეესაბამება რეალურ საჭიროებას, რაც ვათვალის-წინებული უნდა იქნეს მშენებლობაში დანახარჯთა აღრიცხვისა და კალკულა-ციის ახალი დებულების შემუშავებისას.

მშენებლობაში წარმოების დანახარჯების აღრიცხვა და კალკულირება ობი-ექტური აუცილებლობითაა გამოწვეული. მის საფუძველზე განისაზღვრება შეს-რულებულ სამუშაოთა თვითღირებულება, რაც სამშენებლო პროდუქციის ფას-წარმოქმნის მთავარი ფაქტორია. ამიტომ საჭიროა დანახარჯების აღრიცხვის და კალკულაციის რაციონალური მეთოდი, რაც გაამართლებს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს.

მშენებლობა რთული ინდივიდუალური წარმოებაა და ამის შესაბამისად რეკომენდებული იყო აღრიცხვისა და კალკულირების შეკვეთური მეთოდი. მას გააჩნია ნაკლოვანებანი, რაც ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ საკალკულაციო პერიოდი და შეკვეთის დამთავრების დრო ერთმანეთს არ ემთხვევა. საკალკულაციო პერიოდი ერთი თვით განისაზღვრება, ხოლო სამშენებლო ობი-ექტი ერთ თვეში არ მთავრდება. დაუმთავრებელი წარმოების ყოველთვიური ინვენტარიზაცია დიდ შრომას მოითხოვს და ფაქტიურად არ ტარდება. დამკვეთი ყოველთვიურად შესრულებულ სამუშაოს არ იბარებს და მისი კონტროლი გამოირიცხებოდა. აქ თავს იჩენს მიწერის დამკვეთის შესაძლებლობა და შეკვეთური მეთოდის ნაკლოვანება. ამიტომ მშენებლობაში მიზანშეწონილია ნორმა-ტიული მეთოდის ან მისი ელემენტების დანერგვა-გამოყენება.

წარმოების დანახარჯების აღრიცხვა და თვითღირებულების კალკულირება ჩვენი რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებში არასახარბილო მდგომარეობაშია. აქ არათუ ნორმატიული, არამედ შეკვეთური მეთოდიც არ არის სრულყოფილად გამოყენებული, რაც მეტად დამაფიქრებელია. ჩვენს სინამდვილეში პრაქტიკაში გამოყენებულია ე. წ. „ქვაბური“ მეთოდი, რაც ასუსტებს პასუხისმგებლობას, აღუწებს სამეურნეო ანგარიშის პრინციპებს, იწვევს ვადა-ხარჯებს, მიწერებსა და ზარალს.

ხშირად დამახინჯებულია მასალების შეფასება და აღრიცხვა. დანარჩული მასალების ჩამოწერა ზოგჯერ ყოველთვიურად არ ხდება. ხელფასის გადახარჯვისას განრიგები თვიდან თვეში, კვარტილიდან კვარტალში გადააქვთ, მახინჯდება შესრულებულ სამუშაოთა თვითღირებულება. ცხადია, ასეთი აღრიცხვა არ პასუხობს კალკულაციის სწორად შედგენის ინტერესებს. სამწუხაროდ, ამ მხრივ მდგომარეობა არა თუ არ უმჯობესდება, არამედ წლითიწლით უარესდება კიდევ.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს არც ერთ ტრესტსა და სამ-მართველოში არ არის გამოყენებული დანახარჯების აღრიცხვის და კალკულირე-ბის ნორმატიული მეთოდი და მათ უმრავლესობაში უგულვებელყოფილია საერ-თოდ კალკულაციის შედგენის ელემენტარული წესები. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა: საქართველოს სსრ საოფლო მშენებლობის სამინისტროში, სა-ქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეცსამშენებლო სამუშაო-თა მთავარ სამმართველოში, სპეციალიზებულ ტრესტებსა და საუწყებო სამ-შენებლო და სარემონტო ორგანიზაციებში.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ 1975 და 1979 წლებში ჩატარა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები სსრ კავშირის წამყვან მეცნიერ-ეკონომისტთა და პრაქტიკოსი მუშაკების მონაწილეობით. კონფერენციის მონაწილეთა მრავალი მოხსენება მიექცენა დანახარჯების აღრიცხვისა და კალკულირების საკითხებს, კერძოდ, ნორმატიული მეთოდის დანერგვის საკითხებს. შემუშავებულია რეკომენდაციები.

მეცნიერება საჭირო ყურადღებას უთმობს მშენებლობის ეკონომიკას, აღრიცხვა-ანგარიშგებას, თვითღირებულების კალკულირების საკითხებს, მაგრამ მეცნიერული ცოდნის საფუძვლები პრაქტიკაში ნელა ინერგება. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა მოიძე რესპუბლიკების ქალაქებში: მოსკოვში, ლენინგრადში, იაროსლავლში, ალმა-ათაში და სხვ. ლენინგრადის სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებები უფრო აქტიურად შემოქმედებენ სამშენებლო ორგანიზაციათა საქმიანობაზე. ხდება მეცნიერ მუშაკებისა და პრაქტიკოსების ხშირი შეხვედრა, იმართება სემინარები, კონფერენციები. მსჯელობენ მშენებლობის ბუღალტრული აღრიცხვის საჭირობოტო საკითხებზე, როგორცაა: აღრიცხვისა და თვითღირებულების კალკულირების საკითხები, ნორმატიული მეთოდის დანერგვის საკითხი, აღრიცხვა სამეურნეო რეფორმების პირობებში, დაფინანსების ახალი წესი და მოიჯარეებისა და დამკვეთი ორგანიზაციების ურთიერთდამოკიდებულება და სხვ.

მოკლედ შეგვხოთ დანახარჯების დაგეგმვის, აღრიცხვისა და კალკულირების ნორმატიული მეთოდის, მის უპირატესობასა და დანერგვის პერსპექტივებს.

ნორმატიული მეთოდის ძირითადი დებულება დამტკიცებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ 1960 წ. 3 ოქტომბერს. მშენებლობაში ნორმატიული მეთოდის დანერგვის ინიციატორი და ავტორია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ი. ოლიტსკი, რომელმაც ალმა-ათის სახლსამშენებლო კომბინატის მთავარი ეკონომისტად მუშაობისას, 1962 წ. პირველმა დანერგვა მშენებლობაში ეს მეთოდი [17 (7)].

ნორმატიული მეთოდის მთავარი უპირატესობა სხვა მეთოდებთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტიური დანახარჯები ორ ჰრილში აისახება, — ნორმის ფარგლებში და ნორმიდან გადახრა, რომელიც ნორმირებული დანახარჯებიდან ყოველგვარ გადახრას წარმოების პროცესშივე გამოავლენს. გადახარჯვის კონკრეტულ ფაქტზე მსჯელობის საშუალებას იძლევა მათი წარმოშობის თანავე, რათა გამოირკვეს გადახრის მიზეზები და აღკვეთილ იქნეს უარყოფითი ფაქტორები.

ნორმატიული მეთოდი არა მარტო მოითხოვს, არამედ ხელს უწყობს კიდევ შრომის რაციონალური ორგანიზაციის დანერგვას. ტექნოლოგიური, სახარჯთნუსხო, სახელშეკრულებო, საგეგმო-საფინანსო, საანგარიშსწორებო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას. უნაყოფო ხარჯებისა და დანაჯარგების მინიშნომადე დაყვანას. აწესრიგებს სამეურნეო საქმიანობას, აღრმავეს ბრიგადულ სამეურნეო ანგარიშს, ამაღლებს სამშენებლო წარმოების დაგეგმვის, აღრიცხვის და კონტროლის ორგანიზაციას. მას შეუძლია გამოავლინოს ყოველგვარი უყაართო მოქმედება, ლიკვიდაცია უყოს გადახარჯებს დანახარჯთა ყველა მუხლში, დახუროს ყველა არბი, რომლითაც უანგარიშოდ ვადის საწარმოთა სასიცოცხლოდ აუცილებელი საშუალებანი.

ნორმატიული მეთოდის დასაწერად საჭიროა განხორციელდეს მეტად შრომატევადი მოსამზადებელი სამუშაო. უნდა შეიქმნას ნორმატიული ბაზა (ნორმატიული და ტექნოლოგიური ბარათები, ნორმატიული კალკულაცია), გატარდეს

ადმინისტრაციული, საგეგმო, სააღრიცხვო ტექნიკური და ტექნოლოგიური სმ-სახურის დისპეტჩერიზაცია. დამუშავდეს და დაზუსტდეს ყოველგვარი ტექნიკური სმების ხარჯვის პროგრესული ნორმები. დამუშავდეს მასალებების ტრანსპორტის, მექანიზაციის და სხვ. დანახარჯთა დოკუმენტაცია, სივნალური დოკუმენტები. დამუშავდეს სხვადასხვა სამსახურის მუშაობის და ურთიერთ-დამოკიდებულების დებულებები და რეკომენდაციები.

სახელწოდება „აღრიცხვის ნორმატიული მეთოდი“ ან „ნორმატიული აღრიცხვა“ არ იძლევა ამ მეთოდის დედაარსის დახასიათებას. ამიტომ ხდება, რომ ნორმატიული მეთოდის დანერგვას მხოლოდ ბუღალტრებისაგან მოითხოვენ, რაც სწორი არ არის. ფაქტიურად მისი დანერგვა ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალსა და ეკონომისტებს ევალუატირებად აღრიცხვის მუშაებთან ერთად, ამდენად უმჯობესია ეწოდოს „წარმოებითი დანახარჯების დაგეგმვის, აღრიცხვისა და კალკულირების ნორმატიული მეთოდი“. თუმცა ამ სახელწოდებასაც არ სჯერდებოდა, რადგან ეს მეთოდი მოიცავს მშენებლობის მთელ ციკლს, — სამშენებლო წარმოების ინჟინრული მომზადებიდან, დამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში ჩაბარებამდე. [17 (5)].

მშენებლობაში ნორმატიული მეთოდის არასაკმარისი მასშტაბით დანერგვა აიხსნება ეკონომიკური სამსახურის მუშაკების დაბალი კვალიფიკაციით, მის დასაწერგავად საჭირო სამუშაოთა შრომატევადობით, და თვით ნორმატიული მეთოდის ნაკლები პოპულარობით, რაზედაც სამართლიანად მიუთითებდა ყურნალი „Бухгалтерский учет“ თავის 1976 წ. მერვე ნომერში.

იაროსლავლში მოქმედებს სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს „მშენებლობის ორგანიზაციის, მექანიზაციის და ტექნიკური დახმარების ინსტიტუტი“ („ИОМТПС“), რომელმაც იაროსლავლის სახლსამშენებლო კომბინატში დანერგა დაგეგმვის და აღრიცხვის ნორმატიული მეთოდი, მაგრამ ინსტიტუტი ნორმატიული მეთოდის დანერგვის საქმეში ნაკლებ დახმარებას უწევს სხვა რესპუბლიკების სამშენებლო ორგანიზაციებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დარგების ბუღალტრული აღრიცხვის კათედრას საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსთან დადებული აქვს შეფობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება. ამ საფუძველზე ამ სტრუქტურის ავტორმა იაროსლავლის და აღმართის გამოცდილების განზოგადების შედეგად დამუშავა მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებში ნორმატიული მეთოდის დანერგვის საკითხი, გამოიკა შესაბამისი ბრძანება და ჩატარდა მოსამზადებელი მუშაობა № 15 ტრესტში ნორმატიული მეთოდის დასაწერგად, მაგრამ სუბიექტური მიზეზების შედეგად საქმე ადგილიდან არ იძვრის.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემაში მომუშავე 1410 აღრიცხვის მუშაკიდან უმაღლესი ეკონომიკური განათლება აქვს 115-ს, რაც 8% შეადგენს, ხოლო საშუალო სპეციალური განათლება აქვს 650-ს, 46%. საბუნსიო ასაკს მიღწეული და უხსენია 394 მუშაკია — 28%.

მიუხედავად ამისა სამშენებლო ორგანიზაციები განაცხადს არ უდგენდენ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს მშენებლობის სპეციალიზაციის უმაღლესი განათლების მქონე აღრიცხვის მუშაკებზე. ამის გამო მშენებლობის ბუღალტრული აღრიცხვის კურსდამთავრებულებს უნივერსიტეტი სახალხო მეურნეობის სხვა დარგების საწარმოებში ანაწილებდა. ეს გახდა მიზეზი, რომ ამ სპეცია-

ლოზაციის ბუღალტრული აღრიცხვის ჯგუფის ფორმირება უნივერსიტეტში 1975 წლიდან შეწყვიტა.

სამშენებლო ორგანიზაციებში არ სრულდება საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილება ბუღალტრული აღრიცხვის გაუმჯობესების საკითხებზე. დაბალია მეთოდოლოგიური მუშაობა. არ აკომპლექტებენ ცენტრალურ აპარატში უფროსი მეთოდისტ-ბუღალტრის თანამდებობებს. დაბალია სააღრიცხვო-საანგარიშგებო დისციპლინა. პირველადი საბუთები ბუღალტერიას დიდა დაგვიანებით ბარდება, ეს ხელს უშლის როგორც პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვას, ისე ანგარიშგების დროულად შედგენას. ბალანსებში სრულად არაა ასახული დანახარჯები. შესრულებულ სამუშაოებში ადგილი აქვს მიწერებს. ამის შედეგად კვარტალური და წლიური ანგარიშგება, ბალანსები არარეალურია. თითქმის ყველა წლიურ ანგარიშში შეხვედებით საანგარიშგებო წელს აღმოჩენილ გასული წლების ზარალს, რაც წინა პერიოდის ბალანსების არარეალობაზე მიუთითებს.

სამშენებლო სამმართველოებში ხშირია აღრიცხვის მუშაკების, განსაკუთრებით მთავარი ბუღალტრების დენადობა. მაგრამ ვერსად ვერ ნახავთ ბუღალტრული საქმეების მიღება-ჩაბარების აქტებს, სადაც დეტალურად უნდა იყოს ნაჩვენები, თუ რა მდგომარეობაშია აღრიცხვა საქმეების ჩაბარების დროს.

ჩვენს მიერ შემოწმებულ იქნა რამდენიმე ტრესტისა და მათი სამშენებლო სამმართველოების აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობა. ბევრ მთავარში ქალაქური მდგომარეობაა. მთავარი ბუღალტრები ხშირად იცვლებოდნენ, მაგრამ მიღება-ჩაბარების აქტები არ შეუდგენიათ, რომ დაგვედგინა, თუ ვინ არის კონკრეტული დამნაშავე ასეთი ქაოსის შექმნისა. ხშირად ინვენტარიზაცია წლობით არ ტარდება, და სადაც ტარდება, ბევრგან უხარისხოდ ატარებენ. შედეგებიც კი არ გამოჰყავთ. მრავალი დებიტორულ-კრედიტორული დავალიანება შეუდარებელია. ამიტომ ტრესტების და საპინისტროს ნაერთი ანგარიშგების და ბალანსების მონაცემებით მათ რეალობაზე მსჯელობა შეუძლებელია. ასეთი გაუპიროვნება უნდა აღმოიფხვრას. მთავარი ბუღალტრის შეცვლისას, მას უნდა დაევალოს წესრიგში მოიყვანოს სააღრიცხვო დოკუმენტაცია და ისე ჩაბაროს ახლად დანიშნულს ზემდგომი ორგანოს წარმომადგენლის თანდასწრებით. მიღება-ჩაბარების აქტში კი ფიქსირებული უნდა იყოს თითოეული საბალანსო ანგარიშის რეალური მდგომარეობა უკანასკნელი ბალანსის მიხედვით.

შესაძლოა სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც იყოს ანალოგიური ნაკლოვანებანი, მაგრამ მშენებლობის ბუღალტრული აღრიცხვა გამოირჩევა ჩამორჩენილობით, რის გამოც განსაკუთრებულ ზრუნვასა და ყურადღებას მოითხოვს ყველა ინსტანციის ხელმძღვანელი ორგანოებისაგან, საწარმოთა ხელმძღვანელებისა და ამ დარგის მეცნიერ და პრაქტიკოსი მუშაკებისაგან.

ლიტერატურა

1. კ. მ ა რ ტ ს ი, ქაიხაძე, ტ. 2, თბილისი, 1957.
2. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 26.
3. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 27.
4. И о г а н Ш е р, Бухгалтерия и баланс, М., 1926.
5. სკვპ XXII ყრილობის მასალები, თბილისი, 1961.
6. სკვპ XXV ყრილობის მასალები, თბილისი, 1976.
7. ბუხალტერია, ანალიზი და კონტროლი, თბილისი, „მეცნიერება“, I ტ. 1977.



8. А. Мchedlishvili, И. Васадзе — «бухгалтерский учет», 1977, № 6. Введение прогрессивных методов учета в строительных организациях Грузии.

9. სკვპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წ. 12 ივლისის დადგენილება — დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ. თბილისი, 1979, „საბჭოთა საქართველო“.

10. Бригадный подряд — форма хозяйственного расчета. М., 1977.

11. А. С. Наринский, А. И. Соин, Бухгалтерский учет в условиях внутрипроизводного хозрасчета. Л., 1978.

12. А. А. Наринский, Калькулирование себестоимости в строительстве. М., 1976, «Финансы».

13. А. С. Наринский, Методы учета и калькулирования себестоимости в строительстве. М., 1970, «Финансы».

14. В. Н. Матюшин, Бухгалтерский учет в строительстве. М., 1976, «Финансы».

15. И. С. Черников, Планирование, учет и калькулирование себестоимости строительной продукции. М., 1977. «Стройиздат».

16. სკვპ ერთობებს, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწილი I. თბილისი, 1954, სახგამომცემლობა.

17. Г. Олитский, Нормативный учет затрат в строительном производстве. 1964, Алма-Ата.

სახალხო მეურნეობის დარგების ორბიტებისა და ეკონომიკური ანალიზის კათედრა.

И. VASADZE

ОСНОВНЫЕ ВОПРОСЫ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ БУХГАЛТЕРСКОГО УЧЕТА В СТРОИТЕЛЬСТВЕ

Резюме


В труде рассмотрены особенности учета капитального строительства. Рассмотрена и критически проанализирована неправильная методика оценки зданий и сооружений, построенных хозяйственным способом, и тенденция падения коэффициента использования (фондоотдачи) основных производственных фондов, а также состояние учета расчетов и пути их улучшения в Грузинской ССР. Далее подчеркнута отсутствие в строительстве учета производственного брака, что автор считает недопустимым. Освещены недостатки по учету-распределению накладных расходов, классификации затрат и по учету и калькулированию себестоимости строительной продукции. Рассмотрен низкий уровень внедрения в бухгалтерском учете строительства научной организации труда и прогрессивных форм и методов бухгалтерского учета. Намечены пути исправления указанных недостатков. В конце дается анализ состояния подготовки кадров и учетно-отчетной дисциплины в строительстве.

I. VASADZE

MAJOR PROBLEMS OF IMPROVING THE ACCOUNTING SYSTEM IN CONSTRUCTION

Summary

The article deals with the characteristic features of accounting in capital construction. The state of accounting of fitted funds and construction



0369230
0000000000

materials, the incorrect method of evaluation of buildings constructed by organizations on a self-supporting basis, as well as the trend towards a decrease of the coefficient of utilization of fitted funds in the Georgian SSR are discussed critically.

The lack of accounting of production wastes in construction is considered impermissible and emphasis is made on the urgent need to improve classification and calculation of production costs, as well as the level of organization of accounting, training of relevant personnel, strengthening of accounting and reporting discipline, etc.



СТУДЕНЧЕСКИЕ ГОДЫ К. МАРКСА

А. И. ПАНЦХАВА

Великий основоположник научного коммунизма К. Маркс начал учиться в гимназии в г. Трире в 1830 г. Университетские, студенческие, годы К. Маркса охватывают 30-е годы (1835 г. — Бонн, а с 1836 г. — Берлин) и начало 40-х годов (окончание Берлинского университета и получение им диплома доктора философии — 1841 г., апрель).

Окончив в 1835 г. гимназию и получив аттестат зрелости¹

¹ Его выпускные сочинения (гимназические экзаменационные сочинения), сданные в августе 1835 г., были следующие:

1) латинское сочинение — «Заслуженно ли причисляют приципат Августа к более счастливым эпохам Римского государства?»;

2) сочинение по религии — «Единение верующих с Христом по Евангелию от Иоанна, гл. 15, ст. 1—14, его причины и суть, безусловная необходимость и оказавшее влияние». Автор основывает религию на морали, отвергая догматическое верование. Рационалистическая философия брала верх над религией у К. Маркса (как и у его отца);

ასეთ შეხედულებებში უგულებელყოფილია კრიზისის მთავარი ფაქტორი — თვით კაპიტალისტური წარმოების წესი და მისი წინააღმდეგობები. ეკონომიკური კრიზისი ჭარბწარმოების კრიზისია და სარგებლის დონის მეტად დაბლა დაწევა ხელს შეუწყობს სწორედ ჭარბწარმოების ზრდას, ე. ი. ეკონომიკური კრიზისის კიდევ მეტად გამწვავებას. კრიზისის ფაზაში კაპიტალის სიმცირის არსებობის მტკიცება არ შეესაბამება სინამდვილეს. ჭარბწარმოების კრიზისის



დროს ძალზე შეფერხებულია საქონლის გასაღება, განწელებულია საქონლური კაპიტალის ფულად კაპიტალად გადაქცევა, რაც სასესხო კაპიტალზე მოპოვებული ნიღების ზრდას იწვევს. ეს ქმნის ილუზიის კრიზისის ფაზაში კაპიტალის სინცირის შესახებ, ნამდვილად კი ამ ფაზაში კაპიტალი მეტად ჭარბია. ჭარბწარმოების კრიზისის ფაზაში, როგორც კ. მარქსი წერს „...ყოველთვის უხვად მოიპოვება კაპიტალი, რომელიც ფულად ვერ გადაიქცევა“ (11 (71)). მხოლოდ კრიზისის ფაზის გავლის შემდეგ ხერხდება საქონლური კაპიტალის ფულად კაპიტალად გადაქცევა. უნდა აღინიშნოს, რომ 1929 წელს აშშ-ში გაიზარდა სასესხო კაპიტალი და შემცირდა სარგებლობის დონე, მაგრამ მან ვერ იხსნა მისი ეკონომიკა 1929—1933 წწ. ეკონომიკური კრიზისისაგან. ეს ფაქტი აღიარა ფულად-საკრედიტო თეორიის მიმდევარმა ისეთმა ბურჟუაზიულმა ეკონომისტმა, როგორცაა რ. ჰოუტრი, რომელმაც თავის ნაშრომში „კაპიტალი და დასაქმება“ (1937 წ.) წამოაყენა დებულება „საკრედიტო ჩიხის“ შესახებ, როცა ღრმა კრიზისის შედეგად სარგებლის ნორმის შემცირება წარმოებაზე მას-ტიმულირებელ ზემოქმედებას ვერ ახდენს.

კრიზისების ფულად-საკრედიტო თეორიის წარმომადგენლები კრიზისების ღრმა ფესვებს ვერ ხედავენ კაპიტალისტური წარმოების წესში და ცდილობენ კრიზისები გამოიყვანონ მიმოქცევის სფეროს ზედაპირული მოვლენებიდან, კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ კრიზისების ფულად-საკრედიტო თეორიის მოპრებები „ამ ელემენტთა წარმოშობას და მათთან ბრძოლის საშუალებებს ეძებენ ამ პროცესის ყველაზე ზერელე და აბსტრაქტულ სფეროში, ფულის მიმოქცევის სფეროში“. (12 (247)).

ეკონომიკური კრიზისების ჩვენს მიერ განხილული თეორიები თუმცა იძლევიან კრიზისების სხვადასხვა „ახსნას“, მაგრამ ყველა მათგანი, ჯერ ერთი, უგულვებელყოფს კრიზისების ძირითად მიზეზს, კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობას — წინააღმდეგობას წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და წარმოების შედეგთა მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის და წინა პლანზე აყენებს არამთავარ მოვლენებს. მეორეც — ყველა ეს თეორია მოწოდებულია დასაბუთოს კაპიტალიზმის ჩარჩოებში კრიზისების დაძლევის შესაძლებლობა.

კაპიტალიზმის ჩარჩოებში კრიზისების აცილების ბურჟუაზიული რეკომენდაციების უსაფუძვლოება კაპიტალიზმის ისტორიულმა სინამდვილემ მკაფიოდ დაადასტურა. დაწყებული 1825 წლიდან კაპიტალისტურ საზოგადოებას რეგულარულად, პერიოდულად არყევს კრიზისები. „...კაპიტალისტურ ქვეყნებში, — წერდა ვ. ი. ლენინი, კრიზისი ძველი მოვლენაა, რომელიც დროგამოშვებით მეორდება, როგორც ქრთნიკული სნეულების შეტევა“. (13 (100)). კრიზისების ეს რეგულარობა ამტკიცებს, რომ ისინი არ არიან შემთხვევითი, მოულოდნელი კაპიტალისტური წარმოების წესისათვის, კრიზისები რკინისებური აუცილებლობით წარმოიშობა თვით კაპიტალისტური მეურნეობის ბუნებაში. არც ერთმა კაპიტალისტურამდელმა ფორმაციამ არ იცოდა ჭარბწარმოების პერიოდული ეკონომიკური კრიზისები. ეკონომიკურ შერყევებს კაპიტალიზმამდელ ფორმაციებში იწვევდა მოუსავლიანობა, ეპიდემიები, წყალდიდობები, მიწისძვრები და ა. შ., ჭარბწარმოების კრიზისები არ გამოიმდინარებოდა მოცემული ფორმაციის შინაგანი კანონებიდან.

დასაწყისში ჭარბწარმოების პერიოდული ეკონომიკური კრიზისები ერთმანეთისაგან დაშორებული იყვნენ 10—11 წლით, შემდეგში ეს პერიოდები მცირ-



დებ. აკად. ე. ს. ვარგა წერდა, „მარქსისტულმა მეცნიერებამ დაასაბუთა, რომ განსახლებულ დრომდე ციკლი ჩვეულებრივად მოიცავდა 10—11 წელს. მაგრამ არ არის არავითარი მიზეზი იმისა, რომ ეს ციფრი ჩავთვალოთ უცვლელად. პირიქით, კაპიტალიზმის კანონები საფუძველს ვეძლევა ვივარაუდოთ, რომ ეს ციფრი იცვლება და მიმდინარეობს მისი შემცირების ტენდენციას“. (14 (21)).

განვიხილოთ ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს 1825—1937 წწ. პერიოდული სამრეწველო კრიზისების დაწყების თარიღებს“. (15 (4,19)).


მსოფლიო კრიზისები	ინგლისი	აშშ	გერმანია	საფრანგეთი	იაპონია
—	1825	—	—	—	—
—	1838	1837	—	—	—
—	1847	1848	1847	1847	—
1857	1857	1857	1857	1857	—
1866	1866	1865	1866	1867	—
1873	1878	1873	1873	1873	—
1882	1882	1882	1883	1882	—
1890	1890	1893	1890	1891	—
1900	1900	1903	1900	1900	1900
1907	1907	1907	1907	1907	1907
1920	1920	1920	—	—	1920
1929	1929	1929	1929	1930	1929
1937	1887	1937	—	1937	—

მოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ პერიოდული ეკონომიკური კრიზისები სხვადასხვა ქვეყანაში დაიწყო სხვადასხვა დროს. ასე მაგალითად, ინგლისში თუ 1825 წელს იყო ჭარბწარმოების პირველი პერიოდული ეკონომიკური კრიზისი, იაპონიაში ასეთ კრიზისს ადგილი ჰქონდა მხოლოდ 1900 წელს.

კაპიტალიზმი ვითარდება კრიზისიდან კრიზისამდე, ე. ი. ციკლურად. ეკონომიკური კრიზისების ძველი, ტრადიციული თეორიები, რომელთა მიზანია შეუქმნან კაპიტალიზმს „უკრიზისო“ განვითარების ილუზიები, მიზანს ვერ აღწევს.

კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის განვითარების ისტორიული სინამდვილე ნათლად გვიჩვენებს უკრიზისო ციკლებისა და არაპერიოდული კრიზისების შესახებ ბურჟუაზიულ-აპოლოგეტური კონცეფციების გაყოტრებას.

თუკი ადრე კრიზისების პერიოდში სამრეწველო წარმოების დაცემა საშუალოდ შეადგენდა 7—15%, 1929—1933 წწ. კი — კაპიტალისტური მსოფლიოს სამრეწველო პროდუქცია შემცირდა 40%-ით, ხოლო უმუშევართა რიცხვმა მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში მიაღწია 30—40 მილიონს. მხოლოდ აშშ-ში უმუშევართა რიცხვმა 1933 წელს შეადგინა 16 მლ. 1929 წ. 3 მლნ-ის ნაცვლად. 1929—1933 წწ. კრიზისის პერიოდში მშრომელთა რეალურმა ხელფასმა 1928 წლის დონესთან შედარებით შეადგინა: აშშ-ში 35%, გერმანიაში — 50% (16 (26)). ერთ-ერთი ამერიკელი ეკონომისტის განგაბარიშვით 1929 წლის კრიზისი აშშ-ს დაუჯდა 300 მლრდ დოლარი — თითქმის იმდენივე, რამდენიც მეორე მსოფლიო ომი. (17 (34)).



აშკარა იყო, რომ 1929—1933 წწ. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მკვეთრად გამოამყარა ეკონომიკური კრიზისების ტრადიციული, ძველი ბურჟუაზიული თეორიების უსაფუძვლოება, რომლებიც ძირითადად ემყარებოდნენ პარალელობერალიზმის „თვითმარეგულირებელი საბაზრო ავტომატიზმის“ დოქტრინას. ამ კრიზისმა შეაჩყა ბევრი ტრადიციული ბურჟუაზიული შეხედულება კრიზისის შესახებ და თვალნათლივ დანახვა ბურჟუაზიის, რომ კაპიტალიზმის შემდგომი ბედისათვის საჭიროა უფრო მოქნილი აპოლოგეტური თეორიები, რომლებიც ამ წყობილებას მეტად გაუხანგრძლივებენ არსებობას. 1929—1933 წწ. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა უდიდესი გავლენა მოახდინა ციკლისა და ეკონომიკური კრიზისების თანამედროვე ბურჟუაზიული თეორიების შემდგომ ევოლუციაზე.

1929—1933 წწ. ეკონომიკური კრიზისის უშუალო გავლენით ბურჟუაზიული ლიტერატურაში კრიზისების პრობლემისადმი მიძღვნილ საკითხებში პირველ პლანზე ანტიკრიზისული პოლიტიკა იქნა წამოწეული. 30-იან წლებამდე ამ საკითხს დაქვემდებარებული მდგომარეობა ეკავა და ბურჟუაზიულ ეკონომისტთა უმრავლესობა მას არც ეხებოდა. ეს სრულიად ბუნებრივი იყო, რადგან იგი ეწინააღმდეგებოდა ეკონომიკაში საბელმწიფოს ჩარევის მინიმუმის შესახებ გაბატონებულ შეხედულებას. ანტიკრიზისული პოლიტიკის აუცილებლობის უარყოფა შედეგი იყო ბურჟუაზიულ ლიტერატურაში მაშინ გაბატონებული სეის — „რეალიზაციის თეორიისა“, რომელიც გამორიცხავდა საქონელთა საერთო წარმწარმოებას და დაჰყავდა კრიზისი წონასწორობის შემთხვევით დარღვევაზე. ამ პერიოდის ბურჟუაზიული ეკონომისტები მისწრაფოდნენ ყოველგვარად დაეკნინებინათ კრიზისების მიზეზები, შედეგები და მნიშვნელობა, ამიტომ უარყოფდნენ ისინი ანტიკრიზისულ ღონისძიებებს.

თანამედროვე პერიოდში ბურჟუაზიულ ეკონომისტთა საერთო ამოცანაა ჯერ ერთი, დაასაბუთონ ისეთი ანტიკრიზისული ღონისძიებანი, რომლებიც მეტად ხელსაყრელი იქნება მონოპოლისტური კაპიტალისათვის და მეორეს მხრივ, შეუქმნან ისეთი ილუზიები ამ ღონისძიებებს, თითქოს ისინი ხელსაყრელია მშრომელთა ინტერესებისათვის.

კრიზისების თეორიასა და ანტიკრიზისულ პროგრამებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია. წარმწარმოების კრიზისების დაძლევისა და წინასწარმეტყველების მიზნით თავიდანვე განისაზღვრება ერთი ან მეორე ღონისძიების არჩევა იმის მიხედვით, თუ ბურჟუაზიული ეკონომისტები როგორ ხსნიან კრიზისების მიზეზებს ლოგიკური თანმიმდევრობის შეხედულებით, ასეთი კავშირი სრულიად გასაკვები და ბუნებრივია. მაგრამ 1929—1933 წწ. კრიზისის შემდეგ ბურჟუაზიულ ლიტერატურაში შეიმჩნევა საწინააღმდეგო დამოკიდებულება. უფრო ხშირად თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტების მიერ რეკომენდებული ანტიკრიზისული პოლიტიკის პროგრამები იმდენად არ გამომდინარეობენ კრიზისების შესაბამისი თეორიებიდან, რამდენადაც თვით განსაზღვრავენ ამ თეორიათა შინაარსს. ეს უკანასკნელი თვით გამოიყენება ანტიკრიზისული ღონისძიებების გასამართლებად. ეს არის კრიზისების თანამედროვე ბურჟუაზიული თეორიების ერთ-ერთი მეტად დამახასიათებელი თავისებურება.

ეს ნიშანი უშუალოდ უკავშირდება თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიზისს. მას მჭიდროდ უკავშირდება ეკონომიკური კრიზისების პრობლემისადმი მიძღვნილი თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტების ნაშრომების მეორე თავისებურება, რომელიც გამოხატულია კრიზისების სხვადასხვა თეორიების ეკლექტიურ შეხამებაში. მოთხოვნა ასეთ ეკლექტიზმზე




წარმოშობილია ანტიკრიზისული პროგრამების თავისებურებებით: ბურჟუაზიული მოღვაწენი მიიჩნევენ, რომ ამ პროგრამათა უზრუნველყოფის პირობაა კრიზისებთან ბრძოლისათვის შემოთავაზებულ საშუალებათა მრავალგვარობა. აქ ცხადია მოქმედებს მარტივი გაანგარიშება. უკეთესია კრიზისებთან ბრძოლისათვის ერთდროულად გამოვიყენოთ რამდენიმე საშუალება, — იქნებ, რომელიმე მათგანი აღმოჩნდეს მოქმედი. შესაძლოა აქ მიესადაგოს მეორე აზრიც: თუკი შემოთავაზებულ ანტიკრიზისულ ღონისძიებათაგან თითოეული მცირე ეფექტს იძლევა, მაშინ შესაძლოა, სხვადასხვა ანტიკრიზისულ ღონისძიებათა ერთობამ მოგვეცეს არსებითი ეფექტი.

ეს თავისებურება უშუალოდ განპირობებს იმას, რომ ეკონომიკური კრიზისების თანამედროვე ბურჟუაზიული თეორიების ეკლექტიურობის გამო, ძნელი ხდება იმის დადგენა, თუ ეკონომიკური კრიზისების „ასახნელად“ რომელ მიმდინარეობას განეკუთვნება ამა თუ იმ ბურჟუაზიული ეკონომისტის შეხედულება.

მართალია, ეკონომიკური კრიზისების ტრადიციულმა „ძველმა თეორიებმა“ გამოავლინა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული უსუსურობა, მაგრამ მათ სრული ჩამოფასება არ უწერიათ. პროფ. გ. ჭანუყვაძე წერს: „თავისუფალი კონკურენციის ადგილი მონოპოლიებმა დაიკავეს, ხოლო ციკლისა და კრიზისების პალეოლიბერალური თეორიების ადგილი — ახალმა და უახლესმა კონცეფციებმა, რომლებსაც უმთავრესად კეინსურ-დირიჯისტული ხასიათი აქვთ. რა თქმა უნდა თანამედროვე ბურჟუაზიულმა თეორიებმა შეინარჩუნეს ძველი დოგმებიც, რომლებიც ცოტად თუ ბევრად შეთვისებადია ციკლისა და კრიზისების უახლოეს თეორიებთან“. (18 (149)). ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტიურობენ ნეოკეინსური (ე. ჰანსენი, რ. ჰაროდი, დ. ჰაბერლერი და სხვ.), ნეოკლასიკური (რ. სოლოუ, ჯ. მიდი, ნ. კალდორი და სხვ.) და „ნეოკლასიკური სინთეზის“ (პ. სამუელსონი) მიმდინარეობათა ბურჟუაზიული თეორეტიკოსები.

ყველა ამ მიმართულებით ბურჟუაზიულ თეორიებს აერთიანებს საერთო მეთოდოლოგიური ნაკლი — ილუზია კრიზისების აღმოფხვრის შესაძლებლობების შესახებ კაპიტალიზმის ჩარჩოებში. ისინი ერთიანი ფორმით გამოდიან ეკონომიკური კრიზისების მარქსისტულ-ლენინური თეორიის წინააღმდეგ, რომელიც სრულიად მიუღებელია მონოპოლიების აპოლოგეტთათვის, ვინაიდან იგი სრულად აბათილებს კაპიტალიზმის პირობებში ეკონომიკური კრიზისების აღმოფხვრის შესაძლებლობას. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა ამომწურავი სისრულით დაასაბუთეს, რომ ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისების საფუძველი ძვეს თვით კაპიტალისტური მეურნეობის სისტემაში და რომ მისი ძირითადი მიზეზია კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა.

თანამედროვე კაპიტალიზმის „მკურნალობის“ ბურჟუაზიული „რეცეპტები“, როგორც მოსალოდნელი იყო, მთლიანად ჩააფლავა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ისტორიულმა სინანდელემ. საკმარისია აღინიშნოს, რომ აშშ-ის ეკონომიკა ომის შემდგომ პერიოდში 6-ჯერ (1948—1949, 1953—1954, 1957—1958, 1960—1961, 1969—1970 და 1974—1975 წწ.) აღმოჩნდა ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისების მარწყუბებში. ბურჟუაზიულმა მოძღვრებებმა და სკოლებმა, — აღნიშნულია სკკპ პროგრამაში, — ისტორიულ შემოწმებას ვერ გაუძლეს. მათ ვერ გასცეს პასუხი და ვერც გასცემენ მეცნიერულ პასუხს ცხოვრების მერ დაყენებულ კითხვებზე“. (19 (74)).



1974—1975 წწ. კაპიტალისტურმა ქვეყნებმა გადაიტანეს ომის შემდგომ პერიოდში ყველაზე მძიმე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელიც თანამედროვე კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა უკიდურესი გამწვავების შედეგად კრიზისის პერიოდში სამრეწველო წარმოების მოცულობა დაეცა წინასაკრიზისო პერიოდთან შედარებით: აშშ-ში — 13,8 პროცენტით, იაპონიაში — 23, გფრ-ში 12,3, ინგლისში — 11, საფრანგეთში — 16, იტალიაში — 19,3 პროცენტით (20 (181)). განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში 1975 წელს უმუშევართა რიცხვმა 15 მილიონს მიაღწია, ხოლო ცხოვრების დიკრეტული წინასაკრიზისო პერიოდთან შედარებით გაიზარდა: ინგლისში — 24,3 პროცენტით, იტალიაში — 17, იაპონიაში — 11,8, საფრანგეთში — 11,7, აშშ-ში — 9,1, გფრ-ში — 6 პროცენტით. (21 (48)). ამასთან ერთად, გაიფხვრა ინფლაცია და საგადასმდელო ბალანსი პასიური გახდა. აშკარა იყო, რომ კაპიტალიზმის განვითარების ისტორიულმა სინამდვილემ ერთხელ კიდევ უარყო ბურჟუაზიულ ეკონომისტთა ძირითადი „დეტულება“, რომელიც ითვალისწინებს კაპიტალიზმის ჩარჩოებში ეკონომიკური კრიზისების დაძლევის შესაძლებლობას. სკკპ XXV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხ. ლ. ი. ბრეჟნევიმ აღნიშნა, რომ „ახლა ყველა ხედავს: გაქარწყლდა ერთ-ერთი მთავარი მითი, რომელიც რეფორმისტებმა და ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა შექმნეს, — მითი, თითქოს ჩვენი დროის კაპიტალიზმს შეეძლოს თავი დააღწიოს კრიზისებს. კაპიტალიზმის მერყეობა სულ უფრო ცხადი ხდება“. (22 (38)).

მასასადამე, 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების შუა ხანებში ეკონომიკური კრიზისების, როგორც კეინსური და ნეოკლასიკური, ასევე „ნეოკლასიკური სინთეზის კონცეფციები მთლიანად ღრმა კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. კაპიტალიზმის სოციალ-ეკონომიკურ წინააღმდეგობათა გამწვავების პირობებში ასეთმა კონცეფციებმა გამოაშკარავე თავიანთი უსაფუძვლობა, მათი მომხრეები ეკონომიკური პოლიტიკის გარღვევაში ერთმანეთს ადანაშაულებდნენ და მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქებისათვის ვერ შესძლეს რაიმე ეფექტური საშუალებების შემოთავაზება. ამის გამო ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია იძულებული გახდა ერთხელ კიდევ გადაეხედა თავისი მოძველებული დოკტრინებისათვის და დაეწყო ახალი აპოლოგეტური კონცეფციების ძებნა.

1974—1975 წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა დაადასტურა ციკლისა და ეკონომიკური კრიზისების თანამედროვე ბურჟუაზიული თეორიების უსუსურობა და ამასთან ერთად, დასაბამი მისცა კაპიტალიზმის განვითარების ახალ ციკლს. წარმოების წინა საკრიზისო მაქსიმუმის დონე მიღწეულ იქნა ვერ გფრ-ში (თებერვალი), ხოლო უმეტეს განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, საფრანგეთსა და იტალიაში (სექტემბერი), აშშ-ში (ნოემბერი) მხოლოდ 1976 წ. ბოლო კვარტალში. იაპონიამ ზემოაღნიშნულ დონეს მხოლოდ 1977 წლის შუა პერიოდში მიაღწია. (23 (5)). არსებითად, 1975 წ. აპრილიდან 1976 წლის ბოლომდე კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში მიმდინარეობდა მძიმე ბრძოლა კრიზისის შედეგების დასაძლევად, რათა კიდევ ერთხელ დაბრუნებოდნენ განვლალ ეტაპს, მაგრამ ბურჟუაზიულ ეკონომისტთა ცდა იპოვნონ უფრო ეფექტური საშუალებები კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის განვითარებისათვის, ამასთან ერთად უზრუნველყონ ეკონომიკის სტაბილური ზრდა, საქმეს ვერ შეეღობა. 1977 წელს სამრეწველო პროდუქციის გამოშვება განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში წინა წელთან შედარებით გაიზარდა 4,5%-ით, ნაცვლად 7,8%-ისა 1976 წელს (24 (56)). მთლიანად 1978 წელს განვითარებულ



კაპიტალისტურ ქვეყნებში სამრეწველო წარმოების მოცულობამ ხუთი წლის წინანდელ შედეგებს 9%-ით გადააჭარბა, ე. ი. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საშუალოდ ყოველწლიური ზრდა უდრიდა 2%-ზე ნაკლებს, როცა წინასაკრიზისო პერიოდის ათწლეულში ეს მაჩვენებელი უდრიდა 5—6%-ს. ამავე ქვეყნებში უმუშევართა რიცხვმა 1978 წელს 17 მილიონს მიაღწია.

უკანასკნელი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ დიდი დრო არ გასულა, მაგრამ კაპიტალისტურმა სამყარომ მილიანად ჯერ კიდევ ვერ აღმოფხვრა თავისი მწვავე პრობლემები, უფრო მეტიც, აშშ-ის ეკონომიკაში კვლავ აღმოჩნდა ახალი კრიზისის ნიშნები 1979 წლის მეორე ნახევარში, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა აღიარა, რომ ამერიკის ეკონომიკა დგას ახალი ეკონომიკური დაცემის ზღურბლზე. (25 (5)). თუ აშშ-ის სამრეწველო წარმოების ზრდამ 1978 წელს, წინა წელთან შედარებით, 6,0% შეადგინა, 1979 წელს ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 4,2%-ის ტოლი იყო, ხოლო ცხოვრების ღირებულება 1979 წელს წინა წელთან შედარებით 12,1%-ით გაიზარდა. (26 (80, 81)). კრიზისული გამოვლენები შეინიშნება დიდი ბრიტანეთის, კანადის, ესპანეთის და სხვ. ქვეყნების ეკონომიკებშიც. განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების სამრეწველო პროდუქციის ზრდამ 1950—1973 წწ. შეადგინა 5,4 პროცენტი, 1974—1979 წწ. კი მხოლოდ 2,1 პროცენტი. (27 (97)). ზრდის ტემპების დაცემა და კრიზისული გამოვლენები აშშ-სა და სხვა ქვეყნების ეკონომიკებში უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს არა მარტო მათი, არამედ სხვა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაზე, რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს კრიზისის გაღრმავებას. ასეთ პირობებში კვლავაც მთელი ძალით ეღერს ვ. ი. ლენინის სიტყვებზე: „კაპიტალიზმისათვის საჭიროა კრიზისი, რათა შექმნას პროგრესული, რომელიც მუდამ ირღვევა“. (28 (772)).

ლიტერატურა:

1. დ. რიკარდო. პოლიტიკური ეკონომიკისა და დაბეჭდვის საფუძვლები. თბ., 1927 წ.
2. М. Н. Туган-Барановский. Периодические промышленные кризисы, 4-ое, пересм. изд. книжного кооп. т-ва при Смолгубкоме РКП, Смоленск, 1923 г.
3. Новые явления в современной буржуазной политике, т. II, Москва, 1963 г.
4. Ж. Сиомонди. Новые начала политической экономии, т. I, Москва 1936 г.
5. ვ. ი. ლენინი. ეკონომიკური რომანტიზმის დახასიათებისათვის, თბ., ტ. 2.
6. К. Родбертус. Экономические сочинения, Москва, 1936 г.
7. Г. Кассель. Теория конъюнктуры. Москва, 1925 г.
8. Критика антимарксистских экономических теорий, под. ред. А. Д. Смирнова, Москва, «Высш. школа», 1976 г.
9. Буржуазные экономисты о мировом кризисе. Москва, 1981 г.
10. Дж. М. Кейнс. Общая теория занятости, процента и денег. Москва, 1948 г.
11. კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. 3, ნაწ. 2.
12. კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკისათვის, თბ., 1953 წ.
13. ვ. ი. ლენინი, კრიზისის ვაგელოლება, თბ., ტ. 5. გვ. 100.
14. Е. С. Варга. Экономические кризисы (Избранные произведения). Москва, 1974 г.
15. ცხრილი შედგ.: «Мировые экономические кризисы 1848—1935», т. I, Москва, 1937 г.; «Современные циклы и кризисы.», Москва, 1967 г.
16. П. П. Галахов. Капиталистическое воспроизводство и экономические кризисы. Л., 1956 г.

17. С. С. Дзарагов. Кризисы при капитализме. Москва, 1961 г.
18. გ. ჭანუყვაძე. ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა. ნაწ. IV, თბ., 1969.
19. სკკპ პროგრამა, თბილისი, 1971 წ.
20. Углубление общего кризиса капитализма. Москва, 1976 г.
21. ჟურ. «Международная жизнь», 1976, № 6.
22. სკკპ XXV ყრბლობის მასალები, თბილისი, 1976.
23. Приложение к журналу «МЭ и МО», № 8, 1977 г.
24. ჟურ. «МЭ и МО», № 3, 1978 г.
25. გაზ. «Правда» № 219, 2. 08. 1979 г.
26. ჟურბ. «МЭ и МО» № 3, 1980 г.
27. ჟურბ. «Вопросы экономики» № 3, 1980 г.
28. ვ. ა. ლენინი, თბზ., ტ. 3.

სახალხო შეურწმობისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა.

А. Н. СИЛАГАДЗЕ

НЕОБОСНОВАННОСТЬ ТРАДИЦИОННЫХ БУРЖУАЗНЫХ ТЕОРИЙ ЭКОНОМИЧЕСКИХ КРИЗИСОВ

Резюме

В работе дается критический анализ классовой сущности традиционных буржуазных теорий экономических кризисов.

Необоснованность этих теорий в работе рассматривается в следующей последовательности:

1) теории, объясняющие кризисы анархией капиталистического способа производства (Д. Рикардо, М. Н. Туган-Барановский и др.); 2) теории, пытающиеся объяснить кризисы малым потреблением (Ж. Сисмонди, И. К. Родбертус и др.); 3) теории, пытающиеся объяснить кризисы денежно-кредитными факторами (А. Ган, Г. Кассель и др.). Показано, что указанные буржуазные концепции, основывающиеся на палеолиберальной доктрине «саморегулирующего рыночного автоматизма» вконец доказали свою несостоятельность в период мирового экономического кризиса 1929—1933 гг. и потерпели крах.

С другой стороны, мировой экономический кризис 1929—1933 гг. положил основу распространению современных буржуазных теорий экономических кризисов, которые имели преимущественно кейнсурдирижистский характер. В новых теориях нашел отражение и ряд положений «старых» немарксистских концепций, появились и новые апологетские соображения, предусматривающие распространение капиталистической экономики твердыми темпами. В послевоенный период и в особенности в 70-е годы, когда социально-экономические противоречия капитализма обострились, стала очевидной несостоятельность указанных буржуазных рекомендаций.

A. SILAGADZE

THE UNTENABILITY OF THE TRADITIONAL BOURGEOIS THEORIES OF ECONOMIC CRISES

Summary

The paper is devoted to a critical analysis of the class essence of traditional bourgeois theories of economic crises and their theoretical and practical untenability is emphasized.

4601857130
316-2114133

Traditional bourgeois theories of economic crises are discussed in the following succession.:

- 1) Theories which "explain" crises as the result of anarchic capitalist mode of production (D. Ricardo, M. Tugan-Baranovsky, and others);
- 2) Theories which seek to "explain" crises on the basis of less consumption (J. Sismondi, J. K. Rodbertus, and others);
- 3) Theories which "explain" the reasons of crises on the basis of financial factors (A. Gan, G. Cassel, and others).

The economic crisis of 1929—1933 led to the dissemination of modern bourgeois theories of economic crises. During the post-war period, particularly in the 1970s, when social and economic contradictions of capitalism became more acute, the weakness of modern bourgeois theories of economic crises became obvious.



ТЕПЛОЗАЩИТНЫЕ СВОЙСТВА МАТЕРИАЛОВ ДЛЯ ВЕРХА ЮФТЕВОЙ ОБУВИ

Д. Ш. ДЖАВАХИШВИЛИ, А. И. МЕТЕЛКИН

При наличии разнообразных климатических зон в нашей стране большое значение имеют теплозащитные свойства юфтевой обуви.

Жизнедеятельность человека связана с постоянными процессами преобразования и расходования энергии, следствием которых в конечном итоге является образование в организме тепла, нагревание тканей тела и отдача тепла во внешнюю среду.

Одежда и обувь, как внешние оболочки, обладающие защитными свойствами, изолируют организм от неблагоприятных внешних воздействий, смягчают нежелательные действия метеорологических факторов на организм.

При носке обуви тепло от поверхности стопы, как более нагретого тела, передается через собственно воздушные прослойки, через носки, чулки, портянки и др., также содержащие воздух внутренней воспринимавшей поверхности обуви. Анализ показывает, что во внутриобувном пространстве процесс передачи тепла является весьма сложным в связи с исключительным различием у людей разной степени подгонки обуви, наличием различных воздушных прослоек, а также изменениями в процессе эксплуатации обуви. Поэтому появилась необходимость использования в практических оценках и расчетах упрощения, при котором внутренняя обувь (чулки, носки, портянки) с ее тепловыми свойствами оценивается отдельно и учитывается при последующих расчетах общего показателя теплозащитных свойств обуви.

На теплозащитные свойства обуви влияют различные факторы: форма и конструкция обуви, применяемые материалы деталей, метод крепления низа и др. С формой и конструкцией обуви связаны ее высота, степень закрытости стопы, толщина стенок верха и низа. Наиболее высокими теплозащитными свойствами должна обладать зимняя и используемая в горячих цехах обувь.

Так как юфтевая обувь эксплуатируется в различных климатических условиях, особо большое значение имеют ее теплозащитные свойства. Этот вопрос ранее изучался И. Г. Манохиным, Е. Н. Чунихиной, Г. М. Кондратьевым, Л. В. Кедровым и др. (1, 2, 3, 4). Л. В. Кедров (3) разработал метод оценки теплозащитных свойств обуви по показателям суммарного теплового сопротивления.

При описании процессов прохождения тепла через обувные материалы применимы общие законы теплопередачи и закономерности, характеризующие их тепло- и массообмен.

Одним из основных показателей, характеризующих теплозащитные свойства обувных материалов, является суммарное тепловое сопротивление.

Суммарное сопротивление теплопередачи от стопы через стенки обуви во внешнюю среду $R_{\text{сум}}$ ($\text{М}^2 \cdot \text{град}/\text{Вт}$) может быть выражено в упрощенной форме (не принимая во внимание тепловое сопротивление внутриобувных воздушных прослоек между стопой и обувью) следующим уравнением: $R_{\text{сум}} = R_{\text{ст.}} + R_{\text{пов.}}$,

где $R_{\text{ст.}}$ — сопротивление прохождению тепла через совокупность стенок обуви;

$R_{\text{пов.}}$ — сопротивление переходу тепла от поверхности наружных стенок обуви во внешнюю среду.

В данном исследовании суммарные тепловые сопротивления юфти и ее заменителей определялись методом, предусмотренным ГОСТ 20489 — 75. Испытания проводились в двух основных вариантах:

а) при плотном прилегании образца кожи к поверхности прибора в условиях спокойного воздуха, указывающем на их теплозащитные свойства в первичном, исходном состоянии;

б) при наличии воздушного слоя толщиной 5 мм между образцом и нагревательной поверхностью прибора в воздушном потоке со скоростью 5 м/с, что характеризует суммарное сопротивление системы: образец + воздух в условиях ветра.

Результаты измерений приведены в табл. 1.

Таблица 1.

Суммарные тепловые сопротивления материалов для верха юфтевой обуви

Материал	Суммарные тепловые сопротивления, $\text{м}^2 \cdot \text{град}/\text{Вт}$		Снижение, %
	Без воздушного слоя	С воздушным слоем 5 мм и поддувом со скоростью 5 м/с	
Юфть ХЦС дубления	0,130	0,064	49,2
Юфть ХСР дубления	0,107	0,052	48,6
Кирза «Б»	0,101	0,044	43,6
Шарголин	0,096	0,042	43,7

Как видно из приведенных данных, юфть ХЦС метода дубления обладает лучшими теплозащитными свойствами; суммарное тепловое сопротивление на 18% выше, чем у юфти ХСР метода дубления. Этот показатель находится почти на одинаковом уровне для кирзы и шарголина.

Суммарное тепловое сопротивление юфтовых кож при наличии воздушного слоя толщиной 5 мм в воздушном потоке со скоростью 5 м/с по сравнению с тепловым сопротивлением этих материалов в условиях плотного прилегания снижается в среднем на 46%. Несмотря на это, суммарное тепловое сопротивление юфти ХЦС метода дубления остается выше на 19% этого же показателя юфти ХСР метода дубления.

На основе проведенных исследований можно рекомендовать для специальных видов обуви применение наряду с юфтью ХСР метода дубления и кирзой, также юфти ХЦС метода дубления и шарголин, так как они имеют высокие значения суммарных тепловых сопротивлений, что является положительным фактором при их использовании в качестве обувного материала без подкладки.

ლიტერატურა

1. Манохин И. Г., Чунихина Е. Н. Тепловые свойства обуви. М., Гизлегпром, 1949, с. 92.
2. Кондратьев Г. М. Регулярный тепловой режим. М., Гос. издво технико-теоретической литературы, 1954, с. 408.
3. Кедров Л. В. Утепленная обувь, М., Ростехиздат, 1962, с. 205.
4. Любич М. Г. Свойства обуви, М., «Легкая индустрия», 1969, с. 256.

Кафедра промышленного товароведения и технологии

დ. ჯავახიშვილი,

ა. მეტილკინი

იუფტის უზენაესი საფეხური მასალის თერმობრუნითი თვისებები

რეზიუმე

ჩვენს ქვეყანაში მრავალფეროვანი კლიმატური ზონების გამო დიდი მნიშვნელობა ენიჭება იუფტის ფუნქციონალური სითბოდამცველობით თვისებებს.

ჩატარებული გამოკვლევის საფუძველზე დადგენილია, რომ ახალი—ქრომი-ცირონიუმისინტანის მეთოდით დათრიმლული იუფტი გამოირჩევა საუკეთესო სითბოდამცველობითი თვისებებით. ეს მაჩვენებელი იუფტის შემცვლელების—კირზისა და შარგოლისათვის თითქმის თანაბარ დონეზეა.

D. JAVAKHISHVILI,

A. METELKIN

HEAT-PROTECTING PROPERTIES OF THE UPPER MATERIAL OF YUFT FOOTWEAR

Summary

Owing to the diversity of climatic zones in the Soviet Union, the heat-protecting properties of Yuft (Russia leather) footwear is of considerable importance.

The study carried out by the authors has shown that Yuft tanned by the new, chromzirconiumsintan method has excellent heat-protecting properties, being almost on a par with Yuft substitutes: tarpaulin and shargin.

ადგილობრივ ნედლეულზე მიღებული მაიოლიკის პიჭურის თვისებაები

ბ. მ ა ლ ა ნ ი ბ

სკკპ 26-ე ყრილობამ მეტერთმეტე ხუთწლედის ძირითად მიმართულებად დასახა წარმოების ეფექტიანობის, პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის სრულყოფის, განსაკუთრებით კი სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხობრივი ზრდის საკითხი. მეტერთმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია ნედლეულისა და მასალების მოპოვების, რეზერვების ამოქმედებისა და მიწოდების ზრდა კერამიკული წარმოებისათვის, რის საფუძველზეც გაიზრდება კერამიკული ნაწარმის გამოშვება, ამასთან, გათვალისწინებულია ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ზრდა ადგილობრივი ნედლეულისა და მეორადი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით.


კერამიკული ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესება, გამოწვევის ტემპერატურის შემცირება ამჟამად წარმოადგენს ძირითად პრობლემებს კერამიკული მრეწველობისათვის. ნედლეულის გამოყენების თანამედროვე პოლიტიკა გამოიხატება მის კომპლექსურ გამოყენებაში, ტენდენციაში — კერამიკული მრეწველობის გადასვლისა ადგილობრივ ნედლეულზე, ახალი მასალების შესწავლისა და სხვა.

ფაიფურ-ფაიანსის საწარმოები მუშაობენ ძირითადად შემოზიდულ ნედლეულზე, რაც ერთგვარად ძვირი და დეფიციტურია, მათგან განსხვავებით მაიოლიკის ქარხნების მუშაობა დამყარებულია ადგილობრივ არადეფიციტურ და იაფ თიხებზე.

ადგილობრივი ნედლეულის ბაზის არსებობა, გაზრდილი მოთხოვნები სილიკატური საქონლის ჯგუფზე და სხვა სტიმულს აძლევენ ამ დარგის განვითარებას. მეორე მხრივ, ფიზიკურ-ტექნიკური და სამომხმარებლო თვისებების ნაკლებ შესწავლილობა ამუხრუშებს ნაწარმიკული წარმოებას და ფართო გამოყენებას საზოგადოებრივი კვების საწარმოებში.

მრეწველობის ფართო მასშტაბები, საზოგადოებრივი კვების ქსელის განუხრელი ზრდა მოითხოვს თიხის ნაწარმის ხარისხის, ქიმიური მდგრადობის, ხანგამძლეობისა და სხვა გაზრდას.

თიხის ნაწარმის წარმოება დაიწყო ჯერ კიდევ კულტურული განვითარების ყველაზე დაბალ საფეხურზე. აღამიანები საკვებსა და სასმელს ინახავდნენ თიხის კუთრქელში, ვინაიდან იგი წარმოადგენდა შედარებით მოსახერხებელ, ხელმისაწვდომ, ადვილად დანამუშავებელ და გავრცელებულ მასალას.



თიხის ნაწარმის სამომხმარებლო თვისებებზე და მის ხანგამძლეობაზე დიდ ვაგლენას ახდენს მასალისა და ნაწარმის თვისებები, ნაწარმის ზრმა, კონსტრუქცია და რაც მთავარია ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება.

ქიმიური მრეწველობის და მანქანათმშენებლობის სწრაფმა განვითარებამ, კერძოდ კი ქიმიური სარეცხი საშუალებების და ქურჭლის სარეცხი, საშრობი მანქანების ფართო გამოყენებამ, საჭირო გახადა ქიმიურად მდგრადი (მჟავა და ტუტე მედევი) კერამიკის შექმნა. ნაწარმის ხანგამძლეობის გაზრდა კი თანამედროვე პირობებში იქნენ განსაკუთრებულ აქტუალობას.

თიხის ნაწარმის ექსპლოატაციის პირობების და მისი ხანგამძლეობის აუცილებლობამ ქიქურს წაუყენა გაზრდილი მოთხოვნები მექანიკური, თერმული და ქიმიური მდგრადობის მიმართ.

კერამიკული ნაწარმი განიცდის კოროზიულ (დაშლა გარემოს ვაგლენით — ტემპერატურა, რეცხვა ქიმიური საშუალებებით და სხვა), ეროზიულ (დაშლა, გამოწვეული მექანიკური მოქმედებით — ქიქურის ცვეთადობა) და მექანიკური მოქმედებით (ზედაპირის დაზიანება — ბზარები, ატეხვა, დაჩხვრეტილობა და სხვა) გამოწვეულ არასისურველ შედეგებს.

დ. ი. მენდელეევის თვალსაზრისით, ქიქური, ისე როგორც სილიკატური მინა, შეიძლება განიხილოს როგორც განუსაზღვრელი ქიმიური შენაერთები კაჟმიწისა სხვა ქანგულებთან. ქიქური ნაწარმს ანიჭებს წყალგაუმტარობას, რაც განსაკუთრებით საჭიროა წითელი თიხის კეცისათვის, იცავს კეცს გაშუშყიანებისაგან, აუმჯობესებს ნაწარმის გარეგნულ სახეს, ზრდის სიმტკიცეს, იცავს ქიქურ ქვედა მშენებებსა და სხვა.

უმარტივესი სამკომპონენტისანი ქიქური პირველად შემუშავებულ იქნა ვინოგრადოვის მიერ 1746 წელს, ეს ქიქური ტიპიური კირქვიანი ქიქურია. ხასიათდება ძლიერი გამჭვირვალობით, აქვს კარგი სიკრიალე და სიმაგრე 6,5 მოოსის შკალით. თუმცა ქიქურის მაღალი გამჭვირვალობა არ შეიძლება ჩაითვალოს მის დადებით თვისებად, რადგან კეცის უმნიშვნელო წუნიც კი ადვილი შესამჩნევი ხდება.

უქანასკნელ წლებამდე ფართოდ იყო გავრცელებული ტყვიანი ქიქურები. ტყვიის ქანგი, რომელიც ქიქურის შემადგენლობაში შედის ტყვიის მურდასანგის, სურინჯის, ტყვიის მადნის ან კრიალას სახით, ანიჭებს ქიქურს კარგ სიკრიალეს და ხდის ადვილად დნობადს. ამ დადებით თვისებებთან ერთად — ადვილდნობადობა, კარგი სიკრიალე და დეკორატიულობა — ტყვიანი ქიქურები ხასიათდება მთელი რიგი უარყოფითი თვისებებით, ასე მაგალითად; ტყვიის ქანგი, მურდასანგი, სურინჯი, კრიალა და სხვა დეფიციტური და ძვირია, წარმოების პროცესში უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე — იწვევს ტყვიან მოწამვლას, ტყვიანი ქიქურები ნაკლებ მდგრადია ორგანული და არაორგანული მჟავების მიმართ და ამის გამო ექსპლოატაციის პროცესში ხასიათდება ტოქსიკურობით, აქვს დაბალი მექანიკური მაჩვენებელი, აღმდგენელ არეში მოხვედრისას აღსდგება ლითონურ მდგომარეობამდე.

ქიქურების ერთერთ სახეობას წარმოადგენს მინდვრის შპატიის საფუძველზე მიღებული ქიქურები. უტყვიო, მინდვრის შპატიანი ქიქურების გამოწვის ტემპერატურაა არა უმეტეს 1000°, მათ აქვთ მიდრეკილება კრისტალიზაციისადმი, მაღალი თერმული გაფართოების კოეფიციენტი და დაბალი ელასტიურობა. ეს თვისებები კი უარყოფითად მოქმედებენ წითელი თიხის ნაწარმზე. გარდა ზემოაღნიშნულისა, მინდვრის შპატი, სილიკატური მრეწველობის გარდა,

გამოიყენება სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, რაც იწვევს მის არაღრმად
დეფიციტურობას.

ამის გამო მრავალჯერ სცადეს მიეღოთ უტყვილო, არადეფიციტური ნედლეულიდან დაბალტემპერატურაიანი ჰქიჭურება.

მათილიის ჰქიჭური უმეტეს შემთხვევაში მცირე კომპონენტია, ძირითადად შეიცავს სილიციუმის, ალუმინის, კალციუმის, მაგნიუმის, კალიუმისა და ნატრიუმის ქანგეულებს.

კაჟმიწის საშუალებით ჰქიჭურების შემადგენლობაში შეჰყავთ სილიციუმის ქანგი. იგი წარმოადგენს მთავარ ჰქიჭურწარმომქმნელ ქანგეულს. კაჟმიწისა და თიხა მიწის შემცველობის გადიდება კაჟმის შემადგენლობაში იწვევს გაღობის ტემპერატურის ამაღლებას, თიხამიწა მოქმედებს ამ შემთხვევაში უფრო ძლიერად, ვიდრე კაჟმიწა. კაჟმიწა ზრდის სიბლანტეს და ძნელდნობადობას, ამცირებს თერმული გაფართოების კოეფიციენტს. კაჟმის შემადგენლობაში შედის კვარცის ქვიშის, კაოლინის, თიხის, პეგმატიტის ან მინდვრის შპატის სახით.

თიხამიწა, რომლის საშუალებით კაჟში შეჰყავთ ალუმინის ქანგი, სავალდებულო კომპონენტია ჰქიჭურისათვის. იგი ზრდის ძნელდნობადობას, რამდენადმე ამცირებს ბზარების წარმოშობის შესაძლებლობას და მცირედ უწყობს ხელს კარგ გადავლებას.

რკინის ქანგი წარმოადგენს მღებავ ქანგეულს, ძლიერი მალღობელია, ძირითადად არასასურველი კომპონენტია ჰქიჭურში. აღიღებს კრისტალიზაციის უნარს და ზრდის ელექტროვამტარობას.

კალციუმის ქანგი მალღობელია, მისი 0,2 მოლზე მეტი დამატება იწვევს ჰქიჭურის სიმჭრალეს. კალციუმის ქანგი ამცირებს ჰქიჭურის მიდრეკილებას ბზარებისადმი, ხელს უწყობს კრისტალიზაციას, მაგრამ რამდენადმე ამცირებს ჰქიჭურის ლღობის ინტერვალს გამოწვისას. კაჟში შეჰყავთ მარმარილოს ან ცარცის სახით.

მაგნიუმის ქანგი მალღობელია, ხელს უწყობს ჰქიჭურის სიმაგრეს. ზრდის სიმტკიცეს და ელასტიურობას. კაჟში დიდი რაოდენობის მაგნიუმის ქანგი ქმნის პირობას კრისტალიზაციისათვის და საჭიროებს გამოწვის ტემპერატურის ზრდას. კაჟმის შემადგენლობაში შეჰყავთ მაგნიზიტის ან ტალკის სახით.

ნატრიუმის ქანგი — ძლიერი მალღობელია, ამცირებს სიბლანტეს, ძლიერ ზრდის თერმული გაფართოების კოეფიციენტს, ზრდის ჰქიჭურის მიდრეკილებას ბზარებისადმი, ამცირებს სიმაგრეს, ძლიერ ასუსტებს ქიმიურ მდგრადობას, რამდენადმე ამცირებს ჰქიჭურის ლღობის ინტერვალს, ანიჭებს მას კარგ სიკრიალეს. კაჟმის შემადგენლობაში შეჰყავთ სოდის, ბორაკისა და პლაგიოკლზის სახით.

კალიუმის ქანგი ძლიერი მალღობელია, ზრდის სიბლანტეს, აუმჯობესებს სიკრიალეს, ზრდის თერმული გაფართოების კოეფიციენტს. კაჟმის შემადგენლობაში შედის ოროთოკლაზთან ან პოტაშთან ერთად.

ყველა ჩამოთვლილი კომპონენტის ერთგვარ შემავაშებელს წარმოადგენს მინერალი პერლიტი. მე-19 საუკუნის ბოლოს, ბუნებრივ მინას, რომელსაც ჰქონდა კონცენტრული ნაჭუქის მაგვარი სფეროსებური სტრუქტურა და კარგი სიკრიალე გადანატეხში, უწოდეს პერლიტი. პერლიტები ვულკანური წარმოშობის მთის ქანებია. გავრცელებულია სსრ კავშირის შემდეგ რაიონებში: საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ჩრდილო კავკასიაში, კარპატისპირეთში, ტაჯიკეთში, ყაზახეთში, ზღვისპირეთსა და სხვა.



როგორც ნედლეული ჭიქურისათვის, პერლიტი პირველად გამოყენებულ იქნა „საქსაშენმასალათა“ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კერამიკის ბორატორიის თანამშრომლების მიერ.

ყველა წარმოშობის პერლიტის საერთო მახასიათებელს წარმოადგენს გარკვეული რეჟიმის თბური დამუშავებისას აფუების შესაძლებლობა. ეს თვისება გაპირობებულია მცირე რაოდენობის (2—5%) წყლის შემცველობით. პერლიტი წარმოადგენს მყიდვე ქანს მინის მაგვარი ბზინვარებით, იხლიჩება ბზარებზე, ძირითადი მასა გამჭვირვალე და მჟაური შემადგენლობისაა.

თანამედროვე სამრეწველო საქონელმცოდნეობის შესასწავლ პრობლემებს წარმოადგენს: კომპლექსური საკითხების განხილვა, დაკავშირებული საქონლის სამომხმარებლო თვისებებთან და ხარისხთან, ნედლეულისა და მასალების, ძირითადი ტექნოლოგიური პროცესების შესწავლა და აგრეთვე ამ პროცესების გავლენა საქონლის ხარისხზე.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ გამჭვირვალე და თეთრი ყრუ დაბალტემპერატურიანი ჭიქურების მისაღებად პერსპექტიულ ნედლეულს წარმოადგენს არაგაცის (ამიერკავკასია) წარმოშობის პერლიტი. იგი ხასიათდება: ტუტე მიწათა ლითონების შედარებით გაზრდილი შემცველობით (6—9%), მღებავი ქანგულების, რკინისა და ტიტანის მცირე შემცველობით, აქვს ბუნებრივი მინის მაგვარი სტრუქტურა, რომელშიც დამთავრებულია მინერალის კრისტალური მესერის დაშლის პროცესი, არის ერთგვაროვანი, აქვს დიდი სიბლანტე და მაღალი ზედაპირული დაჭიმულობა.

მიღებულია მრავალი სახისა და შემადგენლობის ჭიქურები არაგაცის პერლიტის საფუძველზე. აღსანიშნავია კრიალა ჭიქურები წითელი თიხისათვის, რომლებიც ძირითადად ხასიათდებიან კარგი დეკორატიულობით, თერმომდგრადობით — 150°C (ხარკორტის მეთოდით), მჟავამედევობით, მაღალი თერმული გაფართოების კოეფიციენტით და სხვა.

ჩვენს მიერ არაგაცის პერლიტის საფუძველზე შემუშავებული მათილიკის ჭიქურის შემადგენლობა, რომელიც დანერგულია მცხეთის სუვენირებისა და კერამიკის ექსპერიმენტულ ნაკეთობათა ფაბრიკაში (მიღებულია საავტორო მოწმობა), ხასიათდება: ლამაზი გარეგნული სახით, მაღალი თერმომდგრადობით (250°C, ხარკორტის მეთოდით), მჟავამედევობით (99,5% 20%-იანი მარილმჟავას ხსნარში), მაღალი თერმული გაფართოების კოეფიციენტით (59, 6.10⁻⁷ 1/0-20-400° ტემპერატურულ ინტერვალში), კარგი სიკრიალით (76%).

პერლიტის კარგი გავრცელება, მოპოვებისა და დამუშავების სიადვილე, სიაფე შესაძლებელს ხდის მის ფართოდ გამოყენებას კერამიკულ წარმოებაში.


სამრეწველო საქონელმცოდნეობისა და ტექნოლოგიის კათედრა.

Е. А. МАЛАНИЯ

СВОЙСТВО МАЙОЛИКОВОЙ ГЛАЗУРИ, ПОЛУЧАЕМОЙ ИЗ МЕСТНОГО СЫРЬЯ

Резюме

В работе рассмотрены история развития керамики и проблемы керамической промышленности, влияние свойств материала и изделия, условий эксплуатации на готовую продукцию, назначение глазури. Дана характеристика главных глазуреобразующих окислов, рассмотрены основные свойства свинцовых и полево-шпатных глазурей.



Исследованиями установлено, что для получения блестящих и белых глухих низкотемпературных глазурей наиболее перспективным сырьевым материалом является перлит Арагацкого (Арм. ССР) месторождения.

Глазурь на основе арагацкого перлита характеризуется повышенной термостойкостью — 250°C по Харкорту, повышенной хим. стойкостью, хорошим блеском — 76%, высокой к. т. р. и другими положительными свойствами.

Е. MALANIA

**PROPERTIES OF MAJOLICA GLAZE PRODUCED FROM LOCAL
RAW MATERIAL**

Summary

The article is devoted to the developmental history of ceramics and problems of ceramics industry. The influence of the properties of raw materials and conditions of exploitation on the finished product is discussed and a description of glaze-making oxides is given.

Investigations have shown that the Aragats (Armenian SSR) deposit perlite is the most promising raw material for the production of brilliant and white low-temperature glazes.

Glaze produced on the basis of Aragats perlite has high thermal and chemical stability, brilliance and some other positive properties.

შენიშვნები

პოლიტიკური ეკონომია

- შ. ნათენაძე, — სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერება განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში 21
- გ. ჩადუნელი, — „აუცილებელი პროდუქტისა“ და „პროდუქტი თავისთვის“ თანაფარდობის საკითხის შესახებ 31

სახალხო მეურნეობის მართვა

- ნ. ბიჭიაშვილი, — ეკონომიკურ მოვლენაზე ფაქტორთა გავლენის განსაზღვრის საკითხისათვის 42
- ი. აბესაძე, — მატერიალურ წარმოების მართვის სისტემადმკმნელი ფაქტორები შრეწველობის ეკონომიკა 60
- ს. ჩოჩიშვილი, — საქართველოს სსრ შრეწველობის ეკონომიკის ინტენსიფიკაცია 71

საბუღალტრო აღრიცხვა

- ი. ვასაძე, — შშენებლობის ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფის საკითხები 72

ეკონომიკური აზრის ისტორია

- ა. ფანცხავეა, — გ. მარქსის სტუდენტური წლები 97

ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა

- ა. სილაგაძე, — ეკონომიკური კრიზისების ტრადიციული ბურჟუაზიული თეორიების უსაფუძვლობა 99

ხაქონელმცოდნეობა

- დ. ჯავახიშვილი, — მ. შეტოლკინი, — იუბტის ფეხსაცმლის საზედაპირე მასალის თბოღამცველობითი თვისებები 115
- ე. შალანია, — ადგილობრივ ნედლეულზე მიღებული მათილიკის ჭიქურის თვისებები 118



СО Д Е Р Ж А Н И Е

Политическая экономия

Натенадзе Ш. — Усиление экономической роли государства в развитом социальном обществе	5
Чадуани Г. И. — К вопросу о соотношении необходимого продукта и продукта для себя	23

Управление народным хозяйством

Бичишвили П. С. — К вопросу об определении влияния факторов на экономическое явление	33
Абесадзе Ю. М. — Системообразующие факторы управления материальным производством	44

Экономика промышленности

Чочшвили С. К. — Интенсификация экономики промышленности Грузинской ССР	62
---	----

Бухгалтерский учет

Васадзе И. — Основные вопросы совершенствования бухгалтерского учета в строительстве	88
--	----

История экономических учений

<u>Панихава А. И.</u> — Студенческие годы К. Маркса	90
---	----

Критика буржуазных теорий

Силагадзе А. Н. — Несостоятельность традиционных буржуазных теорий экономических кризисов	113
---	-----

Товароведение

Джавахишвили Д. Ш., <u>Метелкин А. И.</u> — Теплозащитные свойства материалов для верха юфтевой обуви	115
Маланья Е. А. — Свойство майоликовой глазури, получаемой из местного сырья	121

CONTENTS

Political economy

S. h. Natenadze—Strengthening of the Economic Role of the State in the Developed Socialist Society	22
G. Chaduneli—Concerning the Correlation Between the Necessary Product and Product -by-itself	32

Management of the national economy

N. Bichiasvili—Towards the Determination of the Influence of Factors upon an Economic Phenomenon	43
I. A. besadze—System-making Factors of the Management of Material Production	61

Economics of industry

S. Chochishvili—Intensification of the Industrial Economy of the Georgian SSR.	71
--	----

Accounting

I. Vasadze—Major Problems of Improving the Accounting System in Construction	88
--	----

Economic history

<div style="border: 1px solid black; display: inline-block; padding: 2px 5px;">A. Pantskhava</div> K. Marx's Student Days	97
---	----

Criticism of bourgeois theories

A. Silagadze—The Untenability of the Traditional Bourgeois Theories of Economic Crises	113
--	-----

Science of commodities

D. Javakhishvili, <div style="border: 1px solid black; display: inline-block; padding: 2px 5px;">A. Metelkin</div> Heat-protecting Properties of the Upper Material of Yuft Footwear	117
E. Malania—Properties of Majolica Glaze Produced from Local Raw Material	122

გამომცემლობის რედაქტორები: ბ. მიქაძე, მ. ჩხაიძე
ტექნიკური რედაქტორი ა. ოშიაძე
კორექტორები: მ. ვაჩეიშვილი, ე. სულხანიშვილი

გადაეცა წარმოებას 10.06.81. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.12.82.

უფ. 01286. საბეჭდო ქაღალდი 70×108¹/₁₆. პირობითი ნახეჭდი

თაბახი 11,2, საიდრ.-საგამომც. თაბახი 9,86.

ტირაჟი 300 შეკვეთის № 1101.

ფასი 1 ზაზ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.

Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.